



დესბოსედ, გეი და ბისექსუალ კდინებებთან ფსიქოლოგიური სექმიანობის სახედმდვანადო პკინსუიპები

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია / AMERICAN PSYCHOLOGICAL ASSOCIATION

ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან ფსიქოლოგიური საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები

ქართულ ენაზე თარგმნა: მედეა რუსიშვილმა.
ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია (APA) 2012.
ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG) 2020.

მასალა თარგმნილია ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“
მიერ და გამოიყენება მხოლოდ პროფესიული/ინდივიდუალური გავრცელების მიზნით. RFSL-
ის ფინანსური მხარდაჭერით.



www.wisg.org
თბილისი
2020

ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან ფსიქოლოგიური საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია

„სახელმძღვანელო პრინციპები ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან ფსიქოლოგიური საქმიანობისთვის“¹ ფსიქოლოგებს უზრუნველყოფს (ა) ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების მკურნალობის ჩარჩოთი და (ბ) შეფასების, ინტერვენციის, იდენტობის, ურთიერთობების, მრავალფეროვნების, განათლების, პროფესიული მომზადების და კვლევის თაობაზე არსებული ბაზისური ინფორმაციითა და დამატებითი წყაროებით. წინამდებარე პრაქტიკული მითითებები დაფუძნებულია „ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან ფსიქოთერაპიის სახელმძღვანელო პრინციპებზე“ (Division 44/Committee on Lesbian, Gay, and

1 წინამდებარე სტატია პირველად ონლაინ 2011 წლის 29 აგვისტოს გამოქვეყნდა.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები მიღებულ იქნა APA-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2011 წლის 18-20 თებერვალს და ანაცვლებს თავდაპირველ „სახელმძღვანელო პრინციპებს ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან ფსიქოთერაპიისთვის“, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წლის 26 თებერვალს, ხოლო მოქმედების ვადა ამოწურა 2010 წლის მიწურულს. წინამდებარე შესწორებული და განახლებული სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავებული იქნა 44-ე დანაყოფის/ლესბოსელ, გეი, ბისექსუალთა და ტრანსგენდერების საკითხთა სახელმძღვანელო პრინციპების გადასინჯვის კომისიის მიერ. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა კრისტინ ჰენკოკის (თავმჯდომარე) და ლორა ალის, არმანდ ჩერბონის, შრი ღვორკინის, ტერი გოკის, ღუგლას ჰოლდემანის, სიუზან კაშუბეკ-ვესტის და გლენდა რასელისაგან. სამუშაო ჯგუფი მაღლობას უხდის გლენ ალის, ლორა ბრაუნს, ლინდა კემპბელს, ჯინ კარტერს, ჯეიმს კოქტოს, სტივენ დევიდს, რენდოლ ეპბარს, რუთ ფესინგერს, ბეთ ფაიერსტეინს, რონალდ ფოქსს, ჯონ გონსიორეკს, ბევრლი გრინს, ლისა გროსმანს, ქრისტინ ჰოლს, ტანია ისრაელს, კორი ჯონსონს, ჯენიფერ კელის, ქრისტოფერ მარტელს, ჯონათან მორს, დევიდ პანტალონეს, მარკ პოუპს და მელბა ვესკეზს გულისხმიერი კონტრიბუციისათვის. სამუშაო ჯგუფი ხანგრძლივი მხარდაჭერისთვის მაღლობას გამოხატავს კლინტონ ანდერსონის მიმართ, APA-ს ლესბოსელ, გეი, ბისექსუალთა საკითხების განყოფილების დირექტორი, და APA სტაფის მენეჯერებს სიუ ჰიუსტონს (ფსიქოლოგიის განვითარების კომიტეტი საზოგადოებრივი ინტერესისათვის) და მერი ჰარდიმანს (პროფესიულ საკითხთა კომიტეტი) დახმარებისთვის.

თითოეულ სახელმძღვანელო პრინციპში წარმოდგენილია განახლებული ფსიქოლოგიური ლიტერატურა რომელსაც აღნიშნული პრინციპები ეფუძნება, იგი მოიცავს დასაბუთებისა და პრაქტიკული გამოყენების პარაგრაფებს და განავრცობს თავდაპირველ სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა ფსიქოლოგებს გაუწიოს დახმარება ისეთ სფეროებში, როგორიცაა რელიგია და სულიერება, გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის დიფერენციაცია, სოცო-ეკონომიკური და სამუშაო ადგილთან დაკავშირებული საკითხები და ლგბ საკითხებზე კვლევის გამოყენება და გავრცელება. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია სრულყოფილი ფსიქოლოგიის საქმიანობა, ხოლო განათლება და პროფესიული მომზადება უზრუნველყოს ლგბ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციით. რევიზია დაფინანსდა ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) და APA-ს დირექტორთა საბჭოს 44-ე დანაყოფის მიერ (ლგბ საკითხების ფსიქოლოგიური შესწავლის ცენტრი).

წინამდებარე დოკუმენტის, როგორც APA-ს პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედების ვადა 10 წელიწადია (2020). აღნიშნული თარიღის შემდგომ, მომხმარებლებს რეკომენდაცია ეძლევათ დაუკავშირდნენ APA-ს საზოგადოებრივი ინტერესების დირექტორატს, იმის დასადგენად, მოქმედია თუ არა წინამდებარე დოკუმენტი.

წინამდებარე სტატიის თაობაზე კორესპონდენცია უნდა გაეგზავნოს საზოგადოებრივი ინტერესების დირექტორატს, Public Interest Directorate American Psychological Association, 750 First Street, NE, Washington, DC 20002-4242.

Bisexual Concerns Joint Task Force on Guidelines for Psychotherapy with Lesbian, Gay, and Bisexual Clients, 2000) და შეესატყვისება ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) „პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპების განვითარებისა და შეფასების კრიტერიუმებს“ (APA, 2002). იგი ფსიქოლოგებს ეხმარება ლესბოსელების, გეებისა და ბისექსუალებთან დაკავშირებული აფირმაციული პრაქტიკის, განათლებისა და კვლევის განხორციელებაში.

ტერმინი „სახელმძღვანელო პრინციპები“ მოიცავს შეხედულებებს, განცხადებებს, ან დეკლარაციებს, რომლებიც ფსიქოლოგებისთვის ითვალისწინებენ რჩევასა, თუ რეკომენდაციას კონკრეტულ პროფესიულ ქცევასთან, მისწრაფებებთან ან წესებთან დაკავშირებით. სახელმძღვანელო პრინციპები განსხვავდება სტანდარტებისგან, ვინაიდან სტანდარტების გათვალისწინება სავალდებულოა და შესაძლოა, იძულების მექანიზმსაც ითვალისწინებდეს. ამგვარად, წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები თავისი არსით მიზანმიმართულია პროფესიის უწყვეტი, სისტემატური განვითარების ხელშეწყობისა და ფსიქოლოგების მიერ მაღალი დონის პროფესიონალური პრაქტიკის უზრუნველყოფისკენ.

წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები არ არის სავალდებულო და ყოვლისმომცველი და შესაძლოა არ მიესადაგებოდეს ყველა კლინიკურ სიტუაციას. ისინი არ წარმოადგენენ საბოლოო ინსტანციას და წინ არ უნდა უსწრებდნენ ფსიქოლოგის განსჯას. საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები არსებითად პროფესიონალებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციებისგან შედგება, რომლებიც ქცევის წესებსა და ფსიქოლოგიური პრაქტიკის კონკრეტულ არეალში გასათვალისწინებელ საკითხებს შეეხება. პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები შეესატყვისება APA-ს მიმდინარე პოლიტიკას. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფედერალური და შტატის კანონები პრაქტიკულ გაიდლაინებზე მაღლა დგას და ეს უკანასკნელი არსებულ აპა-ს „ფსიქოლოგთა ეთიკურ პრინციპებსა და ქცევის კოდექსს“ უნდა შეესაბამებოდეს (APA, 2002b).

წინასიტყვაობა

1975 წელს APA-მ მიიღო რეზოლუცია, რომელის მიხედვით „ჰომოსექსუალობა თავისი არსით არ გულისხმობს აზროვნების, სტაბილურობის, საიმედოობის ან ზოგადი სოციალური ან პროფესიული უნარების დაქვეითებას“ და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ყველა პროფესიონალმა საკუთარ თავზე უნდა აიღოს ფსიქიკური აშლილობის სტიგმის აღმოფხვრა, რომელიც დიდი ხანია, ჰომოსექსუალურ ორიენტაციასთან ასოცირდება“ (Conger, 1975, გვ. 633). ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტის მიღებიდან რამდენიმე წელიწადში APA მართლაც ჩაუდგა სათავეში ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვას და აღნიშნულ პოპულაციასთან პრაქტიკისთვის, განათლებისთვის და კვლევისთვის ფსიქოლოგების აფირმაციული ინსტრუმენტებით უზრუნველყოფას. 2009 წელს ასოციაციამ დაადასტურა, რომ „საკუთარი სქესის მიმართ სექსუალური და რომანტიკული მიზიდულობა, გრძნობები და ქცევა, სექსუალური ორიენტაციის იდენტობის მიუხედავად, ადამიანის სექსუალობის ნორმალურ და პოზიტიურ ნაირსახეობას წარმოადგენს“ (APA, 2009a, გვ. 121).

APA-ს 1975 წლის რეზოლუციიდან თექვსმეტი წლის შემდგომ, APA-ს პოლიტიკასა და ფსიქოლოგების პრაქტიკაში ხარვეზები გარნეტის, ჰენკოკის, ქოქრინის, გუდჩაილდის და ფეპლოუს (1991) მიერ ჩატარებულ კვლევაში იქნა გამოვლენილი, რომელმაც დაადასტურა, რომ არსებობდა ფართო ვარიაცია ლესბოსელ და გეი კლიენტებზე ფსიქოთერაპიული ზრუნვის ხარისხში. ჩამოთვლილმა ავტორებმა და სხვებმა (მაგ. Fox, 1996; Greene, 1994b; Nystrom, 1997; Pilkington & Cantor, 1996) წამოაყენეს წინადადება, რომ ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან მუშაობისთვის არსებობდა უკეთესი განათლებისა და მომზადების საჭიროება. ამ მიზეზით შემუშავებული იქნა „სახელმძღვანელო პრინციპები ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან ფსიქოთერაპიისთვის“ (Division 44/Committee on Lesbian, Gay, and Bisexual Concerns Joint Task Force on Guidelines for Psychotherapy With Lesbian, Gay, and Bisexual Clients, 2000).

დამოკიდებულებები ჰომოსექსუალობის და ბისექსუალობის მიმართ

სახელმძღვანელო პრინციპი 1. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ, თუ რა გავლენას ახდენს სტიგმა (როგორიცაა ცრურწმენები, დისკრიმინაცია და ძალადობა) და მისი განსხვავებული კონტექსტუალური მანიფესტაციები ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების ცხოვრებაზე.

დასაბუთება. ჰეტეროსექსისტურ საზოგადოებაში ცხოვრება გარდაუვლად რთული ამოცანების წინაშე აყენებს არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის ადამიანებს. ბევრი ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანი დგას სოციალური სტიგმის, ჰეტეროსექსიზმის, ძალადობის და დისკრიმინაციის წინაშე (Herek, 1991b, 2009; Mays & Cochran, 2001; I. H. Meyer, 2003). სტიგმა განისაზღვრება როგორც უარყოფითი სოციალური ატიტუდი ან უარყოფითი სოციალური წარმოდგენა ადამიანის რომელიმე მახასიათებლის შესახებ, რაც საბოლოოდ, შესაძლებელია ინდივიდის წინააღმდეგ მიმართულ ცრურწმენაში ან დისკრიმინაციაში გადაიზარდოს (VandenBos, 2007). ჰერეკმა (1995) ჰეტეროსექსიზმი განმარტა როგორც „იდეოლოგიური სისტემა, რომელიც უარყოფს, ჩრდილს აყენებს და ასტიგმატიზებს ნებისმიერ არაჰეტეროსექსუალური ფორმის ქცევას, იდენტობას, ურთიერთობას, ან თემს“ (გვ. 321). აღნიშნულმა გამოწვევებმა შესაძლოა უმცირესობის სტრესში ჩააგდოს ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები, რომელთა მიმართ შემწყნარებლობას მხოლოდ მაშინ იჩენენ, როდესაც ისინი საკუთარ ორიენტაციას მალავენ (DiPlacido, 1998). უმცირესობის სტრესი შეიძლება განიცდებოდეს ყოველდღიური სიძნელების (მაგ. ანტიგეი ხუმრობების მოსმენა) და უფრო სერიოზული უარყოფითი მოვლენების (მაგ. სამსახურის, საცხოვრებლის, ბავშვებზე მურვეობის დაკარგვა, ფიზიკური და სექსუალური თავდასხმა; DiPlacido, 1998). ჰერეკის მიერ (2009) აღბათურ შერჩევაზე ჩატარებული კვლევის მიხედვით, შეერთებულ შტატებში დაახლოებით 8-დან 1 ლესბოსელი და ბისექსუალი და დაახლოებით 10-დან 4 გეი კაცი ანტიგეი ვიქტიმიზაციას განიცდის. არსებულმა სტიგმამ, ძალადობამ და დისკრიმინაციამ შესაძლებელია განაპირობოს „შინაგანი სტიგმა“, პირად უსაფრთხოებასთან და კარგად ყოფნასთან დაკავშირებული საფრთხის განუწყვეტელი სუბიექტური განცდა (Herek, 2009). ანტიგეი ვიქტიმიზაცია და დისკრიმინაცია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან და ფსიქოლოგიურ დისტრესთან ასოცირდება (Cochran, Sullivan, & Mays, 2003; Gilman et al., 2001; Herek, Gillis, & Cogan, 1999; Mays & Cochran, 2001; I. H. Meyer, 1995; Ross, 1990; Rostovsky, Riggie, Horne, & Miller, 2009). არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდებს ლესბოსელი, გეი და ბისექსუალური იდენტობები უკიდურესი სტიგმის კონტექსტში უყალიბდებათ და ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების უმრავლესობას არაჰეტეროსექსუალობის მიმართ უარყოფითი ატიტუდები გარკვეულ დონეზე ინტერნალიზებული აქვს (Szymanski, Kashubeck-West, & Meyer, 2008a). Szymanski, Kashubeck-West, and Meyer (2008b). შიმანსკიმ, კაშუბეკ-ვესტმა და მეიერმა (2008b) მიმოიხილეს ემპირიული ლიტერატურა ინტერნალიზებულ ჰეტეროსექსიზმზე ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ინდივიდებში და აღმოაჩინეს კავშირი ინტერნალიზებულ ჰეტეროსექსიზმს და თვითშეფასებას, დეპრესიას, ფსიქოსოციალურ და ფსიქოლოგიურ დისტრესს, ფიზიკურ ჯანმრთელობას, სიახლოვეს, სოციალურ მხარდაჭერას, ურთიერთობების ხარისხსა და კარიერის განვითარების სირთულეებს შორის. მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს სტიგმის თავისებურებებში, რომელსაც ლესბოსელი, გეი მამაკაცები და ბისექსუალები განიცდიან. გარდა იმისა, რომ უარყოფითი სექსუალური ცრურწმენების წინაშე დგანან, ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებს უწევთ ცრურწმენებთან და დისკრიმინაციასთან ბრძოლა, რომელსაც ისეთ სამყაროში ცხოვრება განაპირობებს, სადაც სექსიზმი ყოველთვის მომცველი გავლენების გავრცელებას განაგრძობს (APA, 2007). ანალოგიურად, გეი და ბისექსუალი კაცები არა მხოლოდ სექსუალურ ცრურწმენებს აწყდებიან, არამედ წნეხსაც, რომელიც მასკულიზაციის ნორმებთან შესაბამისობის მოლოდინებს უკავშირდება და რომელიც შესაძლოა არსებობდეს როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე კონკრეტულ სუბკულტურებში (Herek, 1986; Stein, 1996). ბისექსუალი ქალები და კაცები შესაძლოა აგრეთვე განიცდიდნენ ნეგატიურ დამოკიდებულებასა და სტიგმატიზაციას როგორც ლესბოსელი და გეი, ისე ჰეტეროსექსუალი ინდივიდების მხრიდან (Herek, 1999, 2002; Mohr & Rochlen, 1999).

გრინმა(1994b) მიუთითა იმაზე, რომ ჰეტეროსექსუალობის, სექსუალობის და რასიზმის კუმულაციურმა გავლენამ შესაძლოა სტრესის განსაკუთრებული რისკის ქვეშ დააყენოს ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი რასობრივი/ეთნიკური უმცირესობები. სოციალური სტრესორები, როგორიცაა ვერბალური და ფიზიკური ძალადობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ახალგაზრდებზე, აკადემიურ პრობლემებთან, სახლიდან გაქცევასთან, პროსტიტუციასთან, ნივთიერებათა მოხმარებასთან და სუიციდთან არის დაკავშირებული (D'Augelli, Pilkington, & Hershberger, 2002; Espelage, Aragon, Birkett, & Koenig, 2008; Savin-Williams, 1994, 1998). სიღვაძეობის და ლესბოსელების, გეებისა და ბისექსუალებთან მხარდმჭერი ორგანიზაციების ნაკლებობამ შესაძლოა გააძლიეროს სოციალური იზოლაციის განცდა ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ადამიანებში, რომლებიც რეგიონალურ თემებში ცხოვრობენ (D'Augelli & Garnets, 1995).

კვლევამ არაერთი კონტექსტუალური ფაქტორი გამოავლინა, რომელიც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას და, მაშასადამე, მათ მიერ სტიგმის განცდაზე (Bieschke, Perez, & DeBord, 2007). ამ ფაქტორებს შორისაა რასა და ეთნიკურობა (მაგ., L. B. Brown, 1997; Chan, 1997; Espin, 1993; Fygetakis, 1997; Greene, 2007; Szymanski & Gupta, 2009; Walters, 1997); იმიგრანტის სტატუსი (მაგ., Espin, 1999); რელიგია (მაგ., Davidson, 2000; Dworkin, 1997; Fischer & DeBord, 2007; Ritter & Terndrup, 2002); გეოგრაფიული ადგილმდებარეობა-რეგიონული განზომილებები, როგორიცაა სოფლად ან ქალაქად ცხოვრება, ან დაბადების ადგილი (მაგ., Browning, 1996; D'Augelli, Collins, & Hart, 1987; Kimmel, 2003; Oswald & Culton, 2003; Walters, 1997); სოცო-ეკონომიკური სტატუსი, როგორც ისტორიული, ისე მიმდინარე (Albelda, Badgett, Schneebaum, & Gates, 2009; Badgett, 2003; Di'az, Bein, & Ayala, 2006; Martell, 2007; G. M. Russell, 1996); ასაკი და ისტორიული კოჰორტა (G. M. Russell & Bohan, 2005); შეზღუდული უნარები (Abbott & Burns, 2007; Shuttleworth, 2007; Swartz, 1995; Thompson, 1994); აივ სტატუსი (O'Connor, 1997; Paul, Hays, & Coates, 1995); და გენდერული იდენტობა და გამოსატყა (APA, 2008; Lev, 2007).

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, დაინახონ, რომ შესაძლებელია სოციალური სტიგმატიზაცია, ცრურწმენები და დისკრიმინაცია გახდეს სტრესის წყარო და შექმნას პირად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტებისთვის (Mays & Cochran, 2001; Rothblum & Bond, 1996). მაშასადამე, თერაპიულ გარემოში უსაფრთხოების განცდის შექმნას პირველადი მნიშვნელობა ენიჭება (იხ. სახელმძღვანელო პრინციპი 4). ამისთვის აუცილებელი პირობაა, ფსიქოლოგს ესმოდეს სტიგმის ეფექტები და ჰქონდეს უნარი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოავლინოს თანაგრძნობა კლიენტთან, ვალიდიზაციის დემონსტრირების გზით. ფსიქოლოგებს, რომლებიც ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ადამიანებთან მუშაობენ, რეკომენდაცია ეძლევათ, შეაფასონ კლიენტის შევიწროებით, დისკრიმინაციითა და ძალადობით განპირობებული ვიქტიმიზაციის ისტორია. გარდა ამისა, უნდა შეფასდეს ინტერნალიზებული ჰეტეროსექსუალობის დია და ფარული გამოვლინებები (Sa'nchez, Westefeld, Liu, & Vilain, 2010; Szymanski & Carr, 2008). გენდერთან, რასასთან, ეთნიკურობასთან, კულტურულ წარმომავლობასთან, სოციალურ კლასთან, რელიგიასთან, შეზღუდულ შესაძლებლობებთან, გეოგრაფიულ რეგიონთან და იდენტობის სხვა წყაროებთან დაკავშირებული კონტექსტუალური ფაქტორების განსხვავებულმა კომბინაციებმა შესაძლოა მკვეთრად განსხვავებული მასტიგმატიზებული ზეგავლენები და გამკლავების სტილები განაპირობოს. ამგვარმა კონტექსტუალურმა განსხვავებებმა აგრეთვე შესაძლოა განაპირობოს განსხვავებული კლინიკური გამოვლინებები და კლინიკური საჭიროებები (Moradi, van den Berg, & Epting, 2009). შესაბამისად, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, გაიაზრონ აღნიშნული კონტექსტუალური ფაქტორები ინტერვენციის მართებულობისა და ეფექტურობის შეფასებისას და გაითვალისწინონ ისიც, თუ როგორ აფასებენ კლიენტები თერაპიის შედეგებს (Fontes, 2008; Ivey & Ivey, 2007).

ფსიქოლოგებს მოუწოდებენ ინტერვენციებისას განიხილონ (ა) კლიენტის უსაფრთხოების განცდის ზრდისა და სტრესის შემცირების საკითხები, (ბ) სოციალური და პირადი რესურსების განვითარება, (გ) რეზილუალური ტრავმის გადამუშავება და (დ) კლიენტის გაძლიერება, რათა,

საჭიროების შემთხვევაში, მან სოციალური სტიგმასთან და დისკრიმინაციასთან შეჭიდება შეძლოს. ფსიქოლოგები ცდილობენ გაითვალისწინონ კლიენტის მიერ საკუთარ გარემოში განცდილი უსაფრთხოების და სოციალური მხარდაჭერის ფარდობითობა და შესაბამისად დაგეგმონ ინტერვენციები. მაგალითად, იმ კლიენტების შემთხვევაში, რომლებიც უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს საკუთარ ლესბოსურ, გეი და ბისექსუალურ იდენტობასთან, უმჯობესი იქნება, ფსიქოლოგებმა იფიქრონ კლიენტის ადგილობრივ მხარდამჭერ ჯგუფებთან, ან სხვა სათემო ორგანიზაციებთან გადამისამართების შესაძლებლობაზე. ისეთი კლიენტებისთვის, რომლებიც ნაკლებ კომფორტულად არიან საკუთარ არაჰეტეროსექსუალურ ორიენტაციასთან, შესაძლოა ინტერნეტ რესურსები აღმოჩნდეს სასარგებლო. ფსიქოლოგებს მოუწოდებენ რისკები და სარგებელი თითოეული კლიენტისთვის კონტექსტის შესაბამისად შეაფასონ. რადგან სტიგმა კულტურულად ასეთი ყოვლისმომცველია, შესაძლებელია, ლესბოსელი, გეი, ან ბისექსუალი ადამიანი მის გავლენას ვერც კი ხედავდეს. შესაბამისად, შესაძლოა ფსიქოლოგებისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს იმის განხილვა, თუ რა გზებით შეიძლება ვლინდებოდეს სტიგმა კლიენტის ცხოვრებაში, მაშინაც კი როდესაც კლიენტის მიერ არ ხდება ჩივილის სახით ამგვარი საკითხის წამოჭრა.

სახელმძღვანელო პრინციპი 2. ფსიქოლოგებს უნდა, რომ ლესბოსური, გეი და ბისექსუალური ორიენტაციები არ წარმოადგენს ფსიქიკურ დაავადებებს.

დასაბუთება. არ არსებობს მეცნიერული საფუძველი იმის მტკიცებისთვის, რომ ფსიქოპათოლოგიის მიმართ წინასწარ განწყობა, ან სხვა ტიპის სოციალური შეუთავსებლობები ჰომოსექსუალების ან ბისექსუალებისთვის თანდაყოლილია. ჰოოკერის (1957) კვლევა პირველი იყო, რომელმაც ეჭვი შეიტანა ამ ისტორიულ დებულებაში, როდესაც პროექციული ტესტის პასუხებში ჰეტეროსექსუალი კაცებისა და გეი კაცების არაკლინიკურ შერჩევებს შორის განსხვავებები ვერ აღმოაჩინა. მომდევნო კვლევების მიხედვით ჰეტეროსექსუალ და ჰომოსექსუალ ჯგუფებს შორის განსხვავებები არ გამოვლინდა კოგნიტური უნარების (Tuttle & Pillard, 1991) და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და თვითშეფასების (Coyle, 1993; Herek, 1990b; Savin-Williams, 1990) მაჩვენებლების მიხედვით. ფოქსმა (1996) ბისექსუალი კაცებისა და ბისექსუალი ქალების არაკლინიკურ კვლევებში ფსიქოპათოლოგიის დამადასტურებელი მტკიცებულებები ვერ აღმოაჩინა.

ამჟამად, არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციების ხელახლა პათოლოგიზების მცდელობას კონვერსიული ან რეპარაციული თერაპიის დამცველები ცდილობენ (APA, 2009b; Haldeman, 2002). მიუხედავად ამისა, ფსიქიკური ჯანდაცვის მთავარი ორგანიზაციები (American Association for Marriage and Family Therapy, 1991; American Counseling Association, 1996; American Psychiatric Association, 1974; APA [Conger, 1975]; Canadian Psychological Association, 1995; National Association of Social Workers, 1996) ადასტურებენ, რომ ჰომოსექსუალობა და ბისექსუალობა ფსიქიკურ დაავადებებს არ წარმოადგენს.

უფრო მეტიც, გამოჩნდა დიდი რაოდენობით ლიტერატურა, რომელიც მიუთითებს რამდენიმე მნიშვნელოვან განსხვავებაზე ჰეტეროსექსუალ, ჰომოსექსუალ და ბისექსუალ ადამიანებს შორის, რომელიც საერთო ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ცვლადების ფართო სპექტრში არსებობს (Gonsiorek, 1991; Pillard, 1988; Rothblum, 1994). გარდა ამისა, ლიტერატურა, რომელიც ჰომოსექსუალობასა და ბისექსუალობას ფსიქიკური დაავადების კატეგორიას მიაკუთვნებდა აღმოჩნდა, რომ მეთოდოლოგიურად გაუმართავია. განზორეკმა (1991) მიმოიხილა აღნიშნული ლიტერატურა და აღმოაჩინა ისეთი სერიოზული მეთოდოლოგიური ხარვეზები, როგორიცაა ტერმინთა ბუნდოვანი განმარტებები, მონაწილეთა არაზუსტი კლასიფიკაცია, ჯგუფების შეუსაბამო შედარებები, შერჩევის წინააღმდეგობრივი პროცედურები, ხელისშემშლელი სოციალურ ფაქტორების გაუცნობიერებლობა და საბოლოო შედეგების შესამოწმებლად საეჭვო საზომების გამოყენება. აღნიშნული კვლევების დასკვნით ჰომოსექსუალობა ფსიქიკურ დაავადებას წარმოადგენს, თუმცა არ არსებობს ვალიდური ემპირიული მტკიცებულება ისეთი რწმენების გასამყარებლად, რომლებსაც შედეგად ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების ასეთი არაზუსტი რეპრეზენტაცია მოჰყვება. როდესაც კვლევებმა ჰომოსექსუალ და ჰეტეროსექსუალ ინდივიდებს შორის ფსიქოლოგიური

ფუნქციონირების მხრივ განსხვავებები გამოავლინეს (მაგ., DiPlacido, 1998; Gilman et al., 2001; Mays, Cochran, & Roeder, 2003; Ross, 1990; Rotheram-Borus, Hunter, & Rosario, 1994; Savin-Williams, 1994), აღნიშნული განსხვავებები განიმარტა როგორც სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე სტიგმატიზაციასთან დაკავშირებული სტრესის ზემოქმედების შედეგები. ეს აღმოჩენები კონსისტენტურია დიდი რაოდენობით კვლევებთან, რომლებიც დისკრიმინაციული ქცევის ზემოქმედების ქვეშ ყოფნას ფსიქოლოგიურ დისტრესთან აკავშირებენ (მაგ., Kessler, Michelson, & Williams, 1999; Markowitz, 1998). კოქრანმა (2001) პოპულაციაზე დაფუძნებული ბოლოდროინდელი კვლევების ანალიზით დაასკვნა, რომ ლესბოსელებსა და გეი კაცებში ფსიქიატრიული დისტრესის და ნივთიერებათა მოხმარების გაზრდილი რისკი, შესაძლებელია, სტიგმის უარყოფით გავლენას უკავშირდებოდეს.

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, თავი შეიკავონ კლიენტის არაპეტეროსექსუალური ორიენტაციის შეფერხებულ ფსიქოსოციალურ განვითარებასთან, ან ფსიქოპათოლოგიასთან დაკავშირებისგან. ჰომოსექსუალობის და ბისექსუალობის შესახებ არაზუსტი, მოძველებული და მაპათოლოგიზირებული შეხედულებებით დატვირთული პრაქტიკის ამოცნობა უკვე მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც კლიენტის პრობლემების არაპეტეროსექსუალური ორიენტაციით ახსნა ხდება (Garnets et al., 1991; Pachankis & Goldfried, 2004). შიღლომ და შროდერმა (2002) აღმოაჩინეს, რომ ფსიქოთერაპიის კლიენტების თითქმის ორი მესამედი აცხადებდა, რომ მათი თერაპევტების თანახმად, მათ როგორც გეი კაცებსა და ლესბოსელ ქალებს, კმაყოფილებით სავსე და პროდუქტიული ცხოვრების ან სტაბილური პირველადი ურთიერთობების მოლოდინი არ უნდა ჰქონოდათ. ასეთი განცხადებები ეყრდნობა ფუნდამენტურ შეხედულებებს, რომ ჰომოსექსუალობა ან ბისექსუალობა მიუთითებს, ან ავტომატურად ასოცირდება ფსიქიკურ დარღვევასთან ან დისფუნქციასთან.

კლიენტებს, რომელთაც ჰომოსექსუალობის და ბისექსუალობის როგორც ფსიქიკური დაავადების ცნებების ზეგავლენა განუცდიათ, შესაძლოა, ინტერნალიზებული ცრურწმენითი ატიტუდები ჰქონდეთ (Beckstead & Morrow, 2004; Pachankis & Goldfried, 2004). ასეთ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ინტერნალიზებული სტიგმის ზემოქმედება. აღნიშნული გავლენები შეიძლება, საჭიროებისამებრ, კლიენტის ფსიქოლოგიური მზაობიდან გამომდინარე, პირდაპირი ან ირიბი (Bieschke, 2008) გზით იქნას განხილული. ბექსტედმა და ისრაელმა (2007) შემოგვთავაზეს კოლაბორაციული მიდგომა თერაპიული მიზნების ჩამოყალიბების და პრეჯუდისული რწმენების ნეგატიური გავლენების გადასინჯვისთვის. APA (2009b) „მხარს უჭერს მიკერძოებულ ბრძოლის მიზნით, სექსუალური ორიენტაციის თაობაზე ზუსტი მეცნიერული და პროფესიონალური ინფორმაციის გავრცელებას“ (გვ. 122) და „ეწინააღმდეგება ჰომოსექსუალობის შესახებ მეცნიერული მონაცემების დამახინჯებას ან შერჩევით გამოყენებას იმ ინდივიდებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საჯარო პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას ცდილობენ“ (გვ. 122).

სახელმძღვანელო პრინციპი 3. ფსიქოლოგებისთვის გასაგებია, რომ საკუთარი სქესის მიმართ მიზიდულობა, გრძნობები და ქცევა ადამიანური სექსუალობის ნორმალური სახესხვაობებია და ცნობილია, რომ სექსუალური ორიენტაციის ცვლილების მცდელობები არაეფექტური და არაუსაფრთხოა.

დასაბუთება. სექსუალური ორიენტაციის ცვლილების თერაპიულმა მცდელობებმა ბოლო წლების განმავლობაში იმატა და უფრო ხილვადი გახდა (Beckstead & Morrow, 2004). თერაპიულ ინტერვენციებს, რომელთა მიზანსაც არასასურველი არაპეტეროსექსუალური ორიენტაციების ცვლილება, მოდიფიცირება ან დამორჩილება წარმოადგენს, „სექსუალური ორიენტაციის შეცვლის მცდელობები“ (სოშმ) ეწოდება (SOCE; APA, 2009b). იმ კლიენტების უმრავლესობა, ვინც სექსუალური ორიენტაციის შეცვლას ცდილობს, ექს-გეი პროგრამებს, ან ინსტიტუციების მომსახურებას მიმართავს (Haldeman, 2004; Tozer & Hayes, 2004). სოშმ ძირითადად რელიგიურ ნიადაგზე ჩამოყალიბებული ექს-გეი მოძრაობის კონტექსტებში გვხვდება (Haldeman, 2004), თუმცა არსებობს რამდენიმე ფსიქოთერაპიული მიდგომაც.

მაგალითად, ნიკოლასმა (1991) აღწერა მოდელი, რომელშიც ჰომოსექსუალობას კაცებში თერაპიული ჩარევით მკურნალობენ, როგორც განვითარებაში საკუთარი სქესის მიმართ მიჯაჭვულობის დეფიციტს.

ლიტერატურის მიმოხილვის ანგარიშები, რომლებიც ათწლეულებია იწარმოება, თანმიმდევრულად მიუთითებს იმაზე, რომ სექსუალური ორიენტაციის ცვლილების მცდელობები არაფექტურია (APA, 2009b; Drescher, 2001; Haldeman, 1994; T. F. Murphy, 1992). აღნიშნულ ანგარიშებში კვლევის ამ სფეროში არსებული არაერთი მეთოდოლოგიური პრობლემა გამოკვეთილი, მათ შორის მიკერძოებული შერჩევის ტექნიკები, მონაწილეების არასწორი კლასიფიკაცია, მხოლოდ და მხოლოდ თვით-ანგარიშებზე დაფუძნებული შეფასებები და მიღებული შედეგების გამოუსადეგარი ან არარსებული საზომები. სომ-ს ყველაზე ოპტიმისტი დამცველებიც კი ასკვნიან, რომ სექსუალური ორიენტაციის შეცვლა თითქმის შეუძლებელია (Spitzer, 2003) და ამგვარ კვლევებში მონაწილეთა მესამედზე ნაკლები აცხადებს, რომ მკურნალობა წარმატებული აღმოჩნდა (Haldeman, 1994). შესაბამისად, არსებული კლიმატიდან გამომდინარე, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას აღიარებს, სომ არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურ მკურნალობად. გარდა ამისა, APA-ს „სექსუალური ორიენტაციის დისტრესსა და შეცვლის მცდელობებზე შესაბამისი აფირმაციული რეაგირების რეზოლუციის“ მიხედვით (APA, 2009b), „სარგებელი, რომლის შესახებაც ამგვარი პროგრამის მონაწილეები საუბრობენ, შესაძლოა, მიღებულ იქნას ისეთი მიდგომებით, რომლებიც არ ცდილობენ სექსუალური ორიენტაციის შეცვლას“ (გვ. 121).

ცნობილია პოტენციური ზიანის შესახებაც, რომელიც შესაძლებელია სომ-მა კლიენტებს მიაყენოს. მილდომ და შროდერმა (2002) აღმოაჩინეს, რომ მონაწილეთა უმრავლესობის განცხადებით, თერაპევტებმა ისინი შეცდომაში შეიყვანეს სექსუალური ორიენტაციის ბუნებასთან და ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდების ნორმატიულ ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა უმრავლესობა გამასწორებელი თერაპიის (conversion therapy) პროცედურებზე თანხმობის მიცემამდე სათანადოდ არ იყო ინფორმირებული, როგორც ეს APA-ს „სექსუალურ ორიენტაციაზე შესაბამისი თერაპიული რეაგირების რეზოლუციით“ (APA, 1998) არის განსაზღვრული. ჰოლდემანმა (2002) გამასწორებელი თერაპიის წარუმატებელი მცდელობების უარყოფითი შედეგების მთელი სპექტრი აღწერა. მათ შორის, სიახლოვისთვის თავისარიდება, სექსუალური დისფუნქცია, დეპრესია და სუიციდალურობა.

საზოგადოებაში კვლავაც გრძელდება ჰომოსექსუალობასთან და ბისექსუალობასთან დაკავშირებული მიკერძოებებისა და არასწორი ინფორმაციის ფართოდ გავრცელება (APA, 1998, 2009b; Haldeman, 1994), რაც სექსუალური ორიენტაციის შეცვლის მოთხოვნათა ზრდაზე აისახება ხოლმე. ტოზერმა და ჰეიესმა (2004) აღმოაჩინეს, რომ ჰომოსექსუალობის და ბისექსუალობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებებისა და რწმენების ინტერნალიზაცია წარმოადგენდა პირველად მამოტივირებელ ფაქტორს იმ ინდივიდებისთვის, ვინც სექსუალური ორიენტაციის შეცვლას მიმართავდა. პოტენციური დანაკარგის შიში (მაგ. ოჯახის, მეგობრების, კარიერის, რელიგიური თემის), ისევე, როგორც შევიწროების, დისკრიმინაციის და ძალადობის მიმართ მოწყვლადობა, შესაძლოა, ხელს უწყობდეს ინდივიდში ლესბოსელად, გეიდ ან ბისექსუალად თვით-იდენტიფიკაციის შიშის გაღვივებას. გარდა ამისა, ზოგიერთი კლიენტის განცხადებით არაჰეტეროსექსუალური ორიენტაცია წინააღმდეგობაში მოდის მათ რელიგიურ რწმენებთან და ღირებულებებთან (APA, 2009b; Beckstead, 2001).

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ საგულდაგულოდ შეაფასონ იმ კლიენტების მოტივები, რომლებსაც სექსუალური ორიენტაციის შეცვლა სურთ. რადგან კლიენტის სექსუალური ორიენტაციის შეცვლის თხოვნაზე ინტერნალიზებული ჰომონეგატიურობა და ანტიგეი რელიგიური რწმენები ახდენენ გავლენას (Tozer & Hayes, 2004). მნიშვნელოვანია ფსიქოლოგებმა, რომლებსაც ასეთი თხოვნით მიმართავენ, გააზრებულად და გონივრულად იმოქმედონ. გარდა ამისა, ფსიქოლოგები ეთიკურად ვალდებული არიან, სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციით უზრუნველყონ კლიენტები, რომლებიც არასწორ ინფორმაციას ფლობენ, ან დაბნეულნი არიან (APA, 1998). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, ამოიცნონ და ისაუბრონ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ მიკერძოებებზე და ინტერნალიზებულ ცრურწმენებზე, რომლებიც შეიძლება უარყოფით გავლენას ახდენდნენ კლიენტის

თვითაღქმას. სოციალური სტრესორების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა სექსუალური ორიენტაციასთან დაკავშირებული დისკომფორტი განაპირობონ, კლიენტისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით ფსიქოლოგებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ სტიგმის ზემოქმედების ნეიტრალიზებას და კლიენტის გაძლიერებას დამატებით ზიანთან გასამკლავებლად.

APA-ს „რეზოლუცია სექსუალური ორიენტაციაზე შესაბამისი თერაპიული რეაგირების თაობაზე“ ფსიქოლოგებს სთავაზობს ჩარჩოს ისეთ კლიენტებთან სამუშაოდ, რომელთაც თავიანთ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული სირთულეები აწუხებთ. რეზოლუციაში აქცენტირებულია APA-ს ეთიკის კოდექსის ის პარაგრაფები, რომლებიც ეხება ყველა ფსიქოლოგს, ვინც ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ხანში შესულებთან, ზრდასრულებთან და ახალგაზრდებთან მუშაობს. აღნიშნულ პარაგრაფებში შესულია დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან დაკავშირებული აკრძალვები (მაგ. მკურნალობის დაფუძნება ჰომოსექსუალობის და ბისექსუალობის პათოლოგიურ ხედვებზე); მეცნიერული ან კლინიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაცია (მაგ. დაუსაბუთებელი მტკიცება იმისა, რომ სექსუალური ორიენტაციის შეცვლა შესაძლებელია); და მკაფიო მანდატი ინფორმირებულ თანხმობაზე (APA, 1992). ინფორმირებული თანხმობა მოიცავს დისკუსიას იმის თაობაზე, რომ სოშმ-ის ეფექტურობის დამადასტურებელი ემპირიული მონაცემები არასაკმარისია და კლიენტისთვის პოტენციური რისკის მატარებელია (APA, 2009b) და რომ არასწორად ინფორმირებული და დაბნეული კლიენტებისთვის სექსუალური ორიენტაციის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია. ზემოთ ციტირებული პრინციპები ფსიქოლოგებს უბიძგებს გადასინჯონ მკურნალობის მიდგომები, მათი თეორიული საფუძვლები, შედეგების გონივრულობა და მკურნალობის ალტერნატიული მიდგომები. გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპები ეწინააღმდეგება იძულებით მკურნალობას, განსაკუთრებით ახალგაზრდების შემთხვევაში.

ფსიქოლოგებისთვის დიდი ხანია გამოწვევებს უკავშირდება ისეთ კლიენტებთან მუშაობა, რომელთა სექსუალური ორიენტაცია, რელიგიური მიკუთვნებულობა და გამოსატყა ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის (Beckstead & Morrow, 2004; Haldeman, 2004; Yarhouse & Burkett, 2002). ასეთი კონფლიქტის წინაშე მყოფი კლიენტებისთვის საბოლოო და ყველაზე გონივრულ მიზანს სექსუალური ორიენტაციის რელიგიურ იდენტიფიკაციასთან ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც შეეხებათ კლიენტებს, ვისთვისაც მათივე ორიენტაცია მისაღებია, ისინი კონსერვატიულიდან უფრო ღია და აფირმაციულ რელიგიურ დენომინაციაში გადადიან. თუმცა, ზოგიერთი კლიენტისთვის ასეთი ტრანზიციის შეუძლებელია, განსაკუთრებით მათთვის, ვისთვისაც რელიგიური ორიენტაცია იდენტობის უფრო მნიშვნელოვანი ასპექტია, ვიდრე სექსუალური ორიენტაცია. ასეთ შემთხვევებში კლიენტმა შესაძლოა რელიგიურ აფილაციას მიაწიოს უპირატესობა და ასეთ არჩევანთან თავსებადი გამოსავალი იპოვოს (APA, 2009b; Beckstead, 2001; Haldeman, 2004; Throckmorton, 2007). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გამოსავალი სექსუალური ორიენტაციის ცვლილებას, ან თუნდაც მასზე კონტროლის დამყარებას არ გულისხმობს, რადგან სინამდვილეში მკურნალობის მიზანი პიროვნულ ინტეგრაციას ემსახურება. სექსუალური ორიენტაციასთან და რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული კონფლიქტის მქონე კლიენტების მკურნალობის დაგეგმვის თაობაზე უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხ. APA (2009b), Beckstead (2001), Beckstead and Morrow (2004), and Haldeman (2004).

ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, შეაფასონ კლიენტების სექსუალური ორიენტაციის შეცვლის წარუმატებელ მცდელობებთან დაკავშირებული ემოციური და სოციალური დისტრესი. ცნობილია, რომ სექსუალური ორიენტაციის შეცვლის მცდელობებს აქვს პოტენციალი, ზიანი მიაყენოს მრავალკლიენტს (APA, 2009b; Haldeman, 2001, 2004; Shidlo & Schroeder, 2002). აღნიშნული ემოციური ზიანი შეიძლება მოიცავდეს ახლო ურთიერთობებისთვის თავის არიდებას, დეპრესიასა და შფოთვის, სექსუალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, სუიციდურ განცდებს და ორმაგი სტიგმატიზირებულობის განცდას, რაც ერთი მხრივ უკავშირდება ჰომოსექსუალურ ორიენტაციას, მეორე მხრივ კი ცვლილების უუნარობას. ფსიქოლოგებს, რომლებიც მუშაობენ კაცებთან, რომელთაც სექსუალური ორიენტაციის შეცვლის მცდელობებისთვის მიუმართავთ, რეკომენდაცია ეძლევათ, ამოიცნონ „დემასკულინიზაციის“ განცდა, რომელიც ასეთ კლიენტებში ხშირად აღმოცენდება (Haldeman, 2001), რადგან ასეთ პროგრამებში კაცებს ასწავლიან, რომ „ნამდვილი“ მამაკაცი გეი

ვერ იქნება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სექსუალური ორიენტაციის შეცვლის მცდელობების მონაწილეები, რომლებიც გვიქამინგაუთს გეგმავენ, ხშირად განიცდიან სოციალური ადაპტაციის პრობლემებს, რადგან ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ თემს კარგად არ იცნობენ. ისინი აგრეთვე შესაძლოა მხარდაჭერას საჭიროებდნენ პოტენციურ დანაკარგთან მიმართებაში (მაგ. ოჯახური ურთიერთობები, მორწმუნეთა თემთან კავშირები). გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის მიღება ცხოვრებით კმაყოფილების თვითაღწერით საზომებთან პოზიტიურ კორელაციაშია (Herek, 2003; Morris, Waldo, & Rothblum, 2001), მხარდაჭერ, მიკერძოებისგან თავისუფალ თერაპიულ გარემოს შეუძლია კლიენტს დაეხმაროს ინტერნალიზებულ სტიგმასთან გამკლავებაში და საკუთარი დასკვნების საფუძველზე ინტეგრირებული ცხოვრების წარმართვაში, რომელიც თვითპატივისცემაზე იქნება დაფუძნებული.

სახელმძღვანელო პრინციპი 4. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, დაინახონ რა კავშირშია მათი დამოკიდებულებები და ცოდნა ლესბოსელების, გეებისა და ბისექსუალთა საკითხების მიმართ კლიენტების შეფასებასთან და მკურნალობასთან და საჭიროების შემთხვევაში მიმართონ კონსულტაციას, ან მოახდინონ შესაბამისი გადამისამართება.

დასაბუთება. APA-ს ეთიკის კოდექსი ფსიქოლოგებს მოუწოდებს აღმოფხვრან მათ საქმიანობაზე მიკერძოებების გავლენა (APA, 2002b, Principle E). ამისთვის, ფსიქოლოგები ცდილობენ შეაფასონ საკუთარი პროფესიული კომპეტენციები და შეზღუდვები (პროფესიული, თუ პიროვნული), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეფასებას და მკურნალობის მომსახურებას სთავაზობენ ადამიანებს, რომელთაც მათგან განსხვავებული მახასიათებლები აქვთ (მაგ. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტები). საკუთარი რწმენების, ღირებულებების, საჭიროებებისა და ლიმიტაციების გაცნობიერების მაღალი დონის გარეშე, ფსიქოლოგებმა შესაძლოა დააბრკოლონ კლიენტის წინსვლა ფსიქოთერაპიაში (Corey, Schneider-Corey, & Callanan, 1993). ეს განსაკუთრებით რელევანტურია, როდესაც შეფასებითა და მკურნალობის მომსახურებით ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების უზრუნველყოფა ხდება.

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების ფსიქოლოგიურ შეფასებასა და მკურნალობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს თერაპევტების ექსპლიციტურმა, თუ იმპლიციტურმა უარყოფითმა დამოკიდებულებებმა. მაგალითად, როდესაც ჰომოსექსუალობა და ბისექსუალობა მოიაზრება ფსიქიკური დაავადების ან ფსიქოპათოლოგიის მტკიცებულებად, საკუთარი სქესისადმი სექსუალური ორიენტაცია შეიძლება განხილულ იქნას კლიენტის ფსიქოლოგიური სირთულეების მთავარ წყაროდ, მაშინაც კი, როდესაც თერაპიაში სექსუალური ორიენტაცია პრობლემის სახით არ არის წარმოდგენილი (Garnets et al., 1991; Liddle, 1996; Nystrom, 1997). გარდა ამისა, როდესაც ფსიქოლოგებისთვის საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულებები გაუცნობიერებელი რჩება, ფსიქოთერაპიის ეფექტურობას შესაძლოა ხელი შეუშალოს მათმა ჰეტეროსექსისტურმა მიკერძოებებმა. ვინაიდან ჰეტეროსექსიზმი გავრცელებულია ფსიქოლოგიის ენაში, თეორიებსა და ფსიქოთერაპიულ ინტერვენციებში (S. Anderson, 1996; L. S. Brown, 1989; Gingold, Hancock, & Cerbone, 2006), ჰეტეროსექსიზმის ამოცნობისკენ და მისთვის წინააღმდეგობის გაწევისკენ ცნობიერი ძალისხმევის მიმართვა აუცილებელია, რათა მოხდეს ოპტიმალური შეფასება და მკურნალობა. ეს აუცილებელია, რადგან ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტებისთვის იდენტობის, ქცევისა და ურთიერთობების ჰეტეროსექსუალური ნორმების მისადაგების შემთხვევაში, მათი აზრები, გრძნობები და ქცევა შეიძლება განიმარტოს, როგორც არანორმალური, დევიაციური და არასასურველი.

შეფასების და მკურნალობის კიდევ ერთი არაეფექტური მიდგომა „სექსუალური ორიენტაციის მიმართ სიბრმავეა“. „ფერთა სიბრმავის“ სხვა მოდელების მსგავსად, ასეთი პერსპექტივა ყურადღების მიღმა ტოვებს ან უარყოფს ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი მოსახლეობის კულტურულად უნიკალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებებს. ჰეტეროსექსისტური მიკერძოებების აღმოფხვრის სანაცვლოდ, ეგრეთ წოდებული ბრმა პერსპექტივა

ჰეტეროსექსუალიზმთან დაკავშირებულ საკითხებს ხელუხლებელს ტოვებს, რაც კლიენტისთვის არასასიკეთოა (Garnets et al., 1991; Winegarten, Cassie, Markowski, Kozlowski, & Yoder, 1994).

პრაქტიკული გამოყენება. როგორც APA-ს ეთიკის კოდექსშია აღნიშნული (APA, 2002b), მნიშვნელოვანია ფსიქოლოგებს „გაცნობიერებული ჰქონდეთ და პატივი სცენ კულტურულ, ინდივიდუალურ, როლურ და ...სექსუალური ორიენტაციით... განპირობებულ განსხვავებებს, და ეცადონ, აღმოფხვრან მათ საქმიანობაზე ასეთი ფაქტორებით განპირობებული მიკერძოებების გავლენა“ (APA, 2002b, გვ. 1063). ამისთვის, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, იცოდნენ თავიანთი შესაძლო ექსპლიციტური და იმპლიციტური მიკერძოებების შესახებ. ასეთი მიკერძოებების მქონე ფსიქოლოგებისთვის და მათი კლიენტებისთვის ექსპლიციტური მიკერძოებები უფრო თვალშისაცემია და აღწერილია, როგორც ცრურწმენის პირდაპირი და ცნობიერი ფორმა (Conrey, Sherman, Gawronski, Hugenberg, & Groom, 2005). იმპლიციტური მიკერძოებები, პირიქით, ცნობიერების მიღმაა, თუმცა მიუხედავად ამისა, ფსიქოთერაპიულ პროცესზე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას შეიძლება ახდენდეს.

რადგან ფსიქოთერაპიულ ურთიერთობაში პოზიტიური ცვლილების განვითარებისთვის უსაფრთხოებას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს (Levitt & Williams, 2010), ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, გამოიყენონ თვითგამორკვევის და თვითგანათლების შესაფერისი მეთოდები (მაგ. კონსულტაცია, კვლევა, და უწყვეტი ფორმალური განათლება), რათა გამოავლინონ და შეასუსტონ ჰომოსექსუალობასთან და ბისექსუალობასთან დაკავშირებული იმპლიციტური და ექსპლიციტური მიკერძოებები. ამისთვის, ფსიქოლოგები ცდილობენ, გაცნობიერებული ჰქონდეთ, როგორ გავლენას შეიძლება ახდენდეს გეი, ლესბოსელი და ბისექსუალი კლიენტების შეფასებასა და მკურნალობაზე მათი გამოცდილებები და პიროვნული ფაქტორები, როგორიცაა გენდერი, სექსუალური ორიენტაცია, ჰეტეროსექსუალიზმი და რელიგიური იდეოლოგია (T. Israel, Gorcheva, Walther, Sulzner, & Cohen, 2008; Morrow, 2000). გარდა ამისა, ფსიქოლოგები ისწრაფიან მკაფიო მარკერების არსებობის შემთხვევაშიც კი (მაგ. ქორწინების სტატუსი, მშობლად ყოფნა) კლიენტის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით თავი შეიკავონ წინასწარი ვარაუდებისგან.

რადგან ფსიქოლოგები საკმარის ინფორმაციას არ ფლობენ ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან დაკავშირებით (Pilkington & Cantor, 1996) არსებობს მკაცრი მოწოდება, საჭიროების შემთხვევაში გაიარონ პროფესიული მომზადება, მიიღონ გამოცდილება, კონსულტაცია ან სუპერვიზია, რათა აღნიშნულ პოპულაციასთან უზრუნველყონ კომპეტენტური პრაქტიკა. მთავარი სფეროები, რომელთა შესახებაც ფსიქოლოგები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, შემდეგ საკითხებს: (ა) ადამიანის სექსუალობა ცხოვრების მანძილზე; (ბ) სოციალური სტიგმის გავლენა სექსუალურ ორიენტაციაზე და იდენტობის განვითარებაზე; (გ) ქამინგაუთის პროცესი და როგორ გავლენას შეიძლება ახდენდეს ამ პროცესზე ისეთი ცვლადები, როგორიცაა ასაკი, გენდერი, ეთნიკურობა, რასა, შეზღუდული უნარები, რელიგია და სოციო-ეკონომიკური სტატუსი; (დ) ერთი სქესის ადამიანების ურთოერთობის დინამიკა; (ე) ოჯახური ურთიერთობები; (ვ) სულიერებასთან და რელიგიური ჯგუფის წევრობასთან დაკავშირებული სირთულეები; (ზ) კარიერასთან დაკავშირებული საკითხები და დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე; და (თ) გამკლავების სტრატეგიები წარმატებით ფუნქციონირებისთვის.

სახელმძღვანელო პრინციპი 5. ფსიქოლოგები აღიარებენ ბისექსუალი ინდივიდების უნიკალურ გამოცდილებებს.

დასაბუთება. ბისექსუალი ადამიანები ბისექსუალობის მიმართ უარყოფითი ინდივიდუალური და სოციალური დამოკიდებულებების გავლენას განიცდიან, რომლებსაც მათ მიმართ გამოსატყვევ როგორც ჰეტეროსექსუალი, ისე გეი/ლესბოსელი ადამიანები (Bradford, 2004a; Eliason, 2001; Evans, 2003; Herek, 2002; Mulick & Wright, 2002). გარდა ამისა, ბისექსუალობა შესაძლოა არ განიხილებოდეს ნამდვილ სექსუალურ ორიენტაციად (Dworkin, 2001), არამედ აღიქმებოდეს ტრანზიციულ მდგომარეობად ჰეტეროსექსუალურ და ჰომოსექსუალურ ორიენტაციებს შორის (Eliason, 2001; Herek, 2002; G. M. Russell & Richards, 2003; Rust, 2000a). აგრეთვე შესაძლებელია ბისექსუალ ინდივიდებს თავაშვებულ

ინდივიდუალად, განვითარების მხრივ შეფერხებულად, ან ფსიქოლოგიური დარღვევის მქონეებად განიხილავდნენ (Fox, 1996; T. Israel & Mohr, 2004; Mohr, Israel, & Sedlacek, 2001; Oxley & Lucius, 2000). სექსუალური იდენტობის ხილვადობა განსაკუთრებით რთული შეიძლება იყოს ბისექსუალი ადამიანებისთვის, რადგან თუ იმავე სქესის ადამიანთან იმყოფებიან ურთიერთობაში, სხვებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ისინი ლესბოსელები ან გეები არიან, ან ჰეტეროსექსუალები არიან, თუ შერეული სქესის ურთიერთობაში იმყოფებიან (Bradford, 2004a; Keppel & Firestein, 2007; Rust, 2007).

ბისექსუალები არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს. ბისექსუალი ინდივიდების მრავალფეროვნება გამოიხატება გენდერის, კულტურის, იდენტობის განვითარების, ურთიერთობების და ბისექსუალობის მნიშვნელობის ცვალებადობაში (Fox, 1996; Rust, 2000b). ადამიანებმა ბისექსუალური იდენტობა შეიძლება აირჩიონ, იმ შემთხვევაში, როდესაც ერთნაირად იზიდავენ ქალები და მამაკაცები, როდესაც მათთვის გენდერი ინტიმური პარტნიორის შერჩევისას მთავარ კრიტერიუმს არ წარმოადგენს, ან რადგან სექსუალური ორიენტაციის ტრადიციული ცნებები მეტისმეტად შეზღუდულია (Ross & Paul, 1992). ლესბოსელ და გეი ადამიანებთან შედარებით, არსებობს უფრო დიდი ალბათობა იმისა, რომ ბისექსუალი ინდივიდები არამონოგამიურ ურთიერთობაში იქნებიან და იდეალად პოლიამორიას განიხილავენ, თუმცა მრავლად არიან ბისექსუალი ადამიანები, ვისაც სურს და ინარჩუნებს კიდევ მონოგამიურ ურთიერთობებს (Rust, 1996b; Weitzman, 2007). იდენტობის განვითარების ტრაექტორიები ცვალებადია ადამიანებისთვის, ვისაც იზიდავს როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ზოგიერთი ასეთი ინდივიდი თავიდანვე ლესბოსურ ან გეი იდენტობას ითვისებს, ზოგიერთი მოგვიანებით იღებს ლესბოსურ თუ გეი იდენტობას, სხვები კი ბისექსუალურ იდენტობას კონსისტენტურად ინარჩუნებენ (Fox, 1996).

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ბისექსუალი ინდივიდების ფსიქიკური ჯანმრთელობა მკვლევართა მცირერიცხოვან შემადგენლობას აქვს გამოკვლეული, კვლევებმა აჩვენა, რომ ბისექსუალებს ღებრესიის, შფოთვის, სუიციდურობის და ნივთიერებათა მოხმარების უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე ლესბოსელ, გეი და ჰეტეროსექსუალთა პოპულაციებს (მაგ., Dodge & Sandfort, 2007). ისევე, როგორც ლესბოსელი და გეი ინდივიდების უმცირესობის სტრესის მოდელების შემთხვევაში (I. H. Meyer, 2003) აღნიშნული ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკები დისკრიმინაციასა და სოციალურ იზოლაციას მიეწერება (Dodge & Sandfort, 2007).

პრაქტიკული გამოყენება. ბისექსუალ კლიენტებთან ფსიქოთერაპია მოიცავს მათი გამოცდილებების კომპლექსურობისა და მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემას (Bradford, 2006; Dworkin, 2001; Goetstouwers, 2006; Page, 2004, 2007). შესაბამისად, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, მკურნალობის მათ მიერ შემუშავებულ მიდგომაში განავითარონ სექსუალური ორიენტაციის ყოვლისმომცველი გაგება (Horowitz, Weis, & Laflin, 2003). ფსიქოლოგებს აგრეთვე ეძლევათ რეკომენდაცია, გადასინჯონ ურთიერთობების მიმართ საკუთარი დამოკიდებულებები და ეცადონ, გადასინჯონ მიკერძოებები, რომელიც ზოგიერთ ბისექსუალ ადამიანს არატრადიციულ ურთიერთობებთან დაკავშირებით შეიძლება ჰქონდეს (Buxton, 2007; Weitzman, 2007). გარდა ამისა, ფსიქოლოგები ცდილობენ უკეთ გაეცნონ ბისექსუალური იდენტობის განვითარებას, მათ შორის ბისექსუალობასთან დაკავშირებულ კულტურულ (Collins, 2007; Evans, 2003; Ferrer & Go'mez, 2007; Scott, 2006, 2007) და გენდერულ განსხვავებებს (Eliason, 2001; Fox, 2006; Goetstouwers, 2006).

ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ გაითვალისწინონ, რომ ბისექსუალ კლიენტებთან აფირმაციული ფსიქოთერაპია განსხვავდება გეი და ლესბოსელ კლიენტებთან აფირმაციული ფსიქოთერაპიისგან (Bradford, 2004b). მაგალითად, ბისექსუალი კაცი, ან ქალი ზოგჯერ საპირისპირო სქესის ან იგივე სქესის ადამიანთან ურთიერთობის (მათ შორის ქორწინების) შემდგომ ქამინგაუთდება და სურს, რომ აღიარებული იყოს და ამ მიზიდულობის შესაბამისად იმოქმედოს (Keppel & Firestein, 2007). ამგვარად, მკურნალობის პროცესში შესაძლებელია საჭირო გახდეს დახმარება, რათა ქორწინებაში მყოფ მეუღლესთან მოხდეს შეთანხმება ურთიერთობის შეცვლის, თუ განქორწინების თაობაზე (Buxton, 2007; Carlsson, 2007; Firestein, 2007).

სახელმძღვანელო პრინციპი 6. ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან მუშაობისას, ფსიქოლოგები ცდილობენ სექსუალური ორიენტაციის საკითხები გენდერული იდენტობისგან გამიჯნონ.

დასაბუთება. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ინდივიდის განსხვავებული მახასიათებლებია (APA, 2006). გავრცელებული შეცდომაა, როდესაც გეი კაცებისგან და ლესბოსელებისგან გენდერულად არაკონფორმული ქცევის გამომჟღავნებას მოელიან და/ან მოელიან, რომ ტრანსგენდერები იქნებიან (Fassinger & Arseneau, 2007; Helgeson, 1994; Kite, 1994; Kite & Deaux, 1987; Martin, 1990). ანალოგიურად, შესაძლებელია ინდივიდის გენდერული არაკონფორმულობა, მისი ნამდვილი სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, მისმა ლესბოსელად ან გეიდ აღქმამ განაპირობოს. ვინაიდან გენდერული არაკონფორმულობა, როგორც წესი, სტიგმატიზებულია, გენდერულმა არაკონფორმულობამ, სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, შესაძლებელია ცრურწმენა და დისკრიმინაცია განაპირობოს (J. Green & Brinkin, 1994; Lombardi, 2001). მაგალითად, სკოლებში ჩატარებული ზოგიერთი კვლევის მიხედვით, გენდერული არაკონფორმულობა (სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად) უფროს კლასელებში არანაკლებ ანტიპათიას იწვევს, ვიდრე ლგბ ორიენტაცია (მაგ., Horn, 2007).

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტები შესაძლოა წარმოგვიდგნენ გენდერულად კონფორმული, ან გენდერულად არაკონფორმული სახით. ფსიქოლოგებს შესაძლოა ჰყავდეთ კლიენტები, რომლებიც ქამინგაუთთან დაკავშირებულ სირთულეებს განიცდიან და აგრეთვე განიცდიან დაბნეულობას თავიანთ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ გენდერულ კონფორმულობასა თუ არაკონფორმულობასთან დაკავშირებით.

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ ხელი შეუწყონ კლიენტებს გენდერულ იდენტობას, გენდერთან დაკავშირებულ ქცევას და სექსუალურ ორიენტაციას შორის განსხვავებების დანახვაში, როდესაც ჩამოთვლილი საკითხები ერთმანეთთან კონფლიქტში მოდიან. ფსიქოლოგებს აგრეთვე რეკომენდაცია ეძლევათ, იცოდნენ, რომ არსებობს პოტენციალი, გენდერულმა არაკონფორმულობამ გაამწვავოს სტიგმატიზაცია ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებში. გენდერული არაკონფორმულობის საკითხებზე ეფექტური მუშაობისთვის, ფსიქოლოგები სქესთან, გენდერთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული თავიანთი ღირებულებებისა და მიკერძოებების გაცნობიერებისკენ მიისწრაფიან (APA, 2008; Gainor, 2000).

გენდერული არაკონფორმულობის სპექტრზე მყოფ კლიენტებთან კლინიკური პრაქტიკის მქონე ფსიქოლოგებისთვის დღესდღეობით არაერთი რესურსი მოიპოვება (მაგ., APA, 2008; Benjamin, 1967; Brill & Pepper, 2008; Carroll, 2010; Carroll & Gilroy, 2002; G. E. Israel & Tarver, 1997; Korell & Lorah, 2007; Lev, 2004; Raj, 2002; Ubaldo & Drescher, 2004). ფსიქოლოგებს, რომლებიც მუშაობენ ტრანსგენდერ ადამიანებთან, რომლებიც თავს აგრეთვე აიდენტიფიცირებენ ლესბოსელად, გეიდ, ან ბისექსუალად, შეუძლიათ გამოიყენონ როგორც ახალი პროფესიული ლიტერატურა, ისე ინტერნეტ რესურსები, რათა ფეხი აუწყონ აღნიშნული პოპულაციასთან დაკავშირებულ ცვალებად კონტექსტს.

ლგბ ფსიქოლოგიაში გეინორმა (2000) წარმოადგინა ყოვლისმომცველი შესავალი ტრანსგენდერობის საკითხებში. მ. ბრაუნის და რაუნსლის (1996) ნაშრომი პროფესიონალების დასახმარებლად გვთავაზობს ინფორმაციას ტრანსგენდერობის საკითხებზე. ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია შემდეგი ვებ-გვერდების გამოყენებაც: ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია (<https://www.apa.org>), მსოფლიო პროფესიონალთა ასოციაცია ტრანსგენდერთა ჯანმრთელობისთვის (<http://www.wpath.org>), ტრანსგენდერთა თანასწორობის ეროვნული ცენტრი (<http://www.transequality.org>), სილვია რივერას საკანონმდებლო პროექტი (<http://www.srlp.org>) და ტრანსგენდერთა იურიდიული ცენტრი (<http://www.transgenderlawcenter.org>).

ურთიერთობები და ოჯახები

სახელმძღვანელო პრინციპი 7. ფსიქოლოგები ცდილობენ ინფორმირებულნი იყვნენ და პატივი სცენ ლესბოსური, გეი და ბისექსუალური ურთიერთობების მნიშვნელობას.

დასაბუთება. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი წყვილები ჰგვანან და განსხვავდებიან კიდევ ჰეტეროსექსუალი წყვილებისგან (Peplau, Veniegas, & Campbell, 1996). ისინი იმავე მიზეზებით აყალიბებენ ურთიერთობებს (Herek, 2006), ურთიერთობებით ისეთსავე კმაყოფილებას გამოხატავენ (Kurdek, 1995; Peplau & Cochran, 1990) და ისეთივე განვითარების პატერნებს მიჰყვებიან, როგორსაც ჰეტეროსექსუალი წყვილები (Clunis & Green, 1988; McWhirter & Mattison, 1984). განსხვავებები რამდენიმე ფაქტორს უკავშირდება, მათ შორის სექსუალური ქცევის განსხვავებულ პატერნებს, განსხვავებულ გენდერულ როლურ სოციალიზაციას (Hancock, 2000; Herek, 1991b; Ossana, 2000) და ურთიერთობების სტიგმატიზაციას (Garnets & Kimmel, 1993).

ერთი და იგივე სქესის წყვილებს ზოგჯერ უწევთ შეეგუონ პირობებს, რომელიც მტრულია, ან აუფასურებს მათ ურთიერთობებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რომელიც ერთი სქესის ადამიანების ქორწინების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ კამპანიას ახლავს (Rostosky et al., 2009; G. M. Russell, 2000), დაერთსქესიანთა ოჯახებისთვის სამედიცინო და სამართლებრივი დაცვის შეზღუდვებს, როგორც ეს ვირჯინიასა და ფლორიდაში ხდება (Herek, 2006). გარდა ამისა, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდებში ურთიერთობის პატერნებსა და არჩევანზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს ადრეული ცხოვრებისეული სტიგმა და მარგინალიზაცია (Mohr & Fassinger, 2003).

ფიზიკური ჯანმრთელობის ცვლილებებს შესაძლოა თან ახლდეს უნიკალური სტრესორები, ეს განსაკუთრებით ხანში შესულ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი წყვილების ეხებათ (მაგ. პარტნიორებთან შესაძლო სეპარაცია, მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრებ, ან სტაციონარულ დაწესებულებებში მყოფ პარტნიორებს შორის კონტაქტის შესაძლო დაკარგვა, გავრცელებული ჰომოფობია მოხუცთა და სხვა სპეციალიზებული მოვლის სახლებში მომვლელებსა და თანამოსახლეებს შორის). ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტები შესაძლოა ისე შეეჩვიონ მათ ურთიერთობებზე სტიგმისა და დისკრიმინაციის გავლენას, რომ ვერ შენიშნონ წვლილი, რომელიც სტიგმას მათ წინაშე არსებულ კონფლიქტებში შეაქვს.

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი წყვილების ურთიერთობები სხვადასხვაგვარია და შესაძლოა უნიკალური პრობლემები ახლდეს თან. არამონოგამიური და პოლიამორული ურთიერთობები უფრო მეტადაა გავრცელებული და მიღებული გეი კაცებსა და ბისექსუალი ინდივიდებში, ვიდრე ლესბოსელებსა და ჰეტეროსექსუალებში (Herek, 1991a; McWhirter & Mattison, 1984; Peplau, 1991). გარდა ამისა, მრავალი ლესბოსელი ქალი და გეი კაცი ქამინგაუთდება ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში ყოფნიდან წლების შემდგომ (Buxton, 1994, 2007).

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ განიხილონ ღებ ურთიერთობების მიმართ საზოგადოებაში არსებული ცრურწმენები და დისკრიმინაცია. წყვილი შესაძლოა ვერ ხედავდეს თუ რა წვლილი შეაქვს სტიგმას და დისკრიმინაციას ურთიერთობაში გავრცელებულ პრობლემებში, რომელსაც ყველა წყვილი შეიძლება განიცდიდეს (R. J. Green & Mitchell, 2002). მიუხედავად ამისა, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი წყვილები შეიძლება ჰეტეროსექსუალი წყვილების მსგავსი (მაგ. კომუნიკაციის სირთულეები, სექსუალური პრობლემები, ორმაგი კარიერული საკითხები, ვალდებულებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები), ან არამსგავსი მიზეზებით მიმართავდნენ თერაპიას (მაგ. სექსუალური ორიენტაციის გამხელა, პარტნიორებს შორის განსხვავებები გამხელის პროცესში, პრობლემები, რომელთაც გენდერული სოციალიზაციის გავლენები წარმოშობს). მაგალითად, როდესაც ერთ-ერთ პარტნიორს თავისი სექსუალური ორიენტაცია გამხელილი აქვს ოჯახისთვის, ხოლო მეორეს არა, წყვილი შესაძლოა კონფლიქტების წინაშე აღმოჩნდეს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაგეგმონ დასვენება, ან დამალონ თუ არა გეი სიმბოლიკა, როდესაც სტუმრებს ელოდებიან. შესაბამისად, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, გაითვალისწინონ ოჯახური და სხვა სოციალური და კულტურული ფაქტორები, როდესაც

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალ წყვილებთან ატარებენ თერაპიას.

არატრადიციული ურთიერთობების კარგად შესწავლა შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ფსიქოლოგებისთვის, რომლებიც ერთი სქესის წყვილებთან მუშაობენ (Martell & Prince, 2005). ზოგიერთი გეი, ლესბოსელი და ბისექსუალი წყვილი შესაძლოა საჭიროებდეს ვალდებულებებთან და საზღვრებთან დაკავშირებული გაურკვევლობის გადაჭრას, ჰომოფობიასთან გამკლავებას და ადეკვატური სოციალური მხარდაჭერის შექმნას (R. J. Green & Mitchell, 2002; Greenan & Tunnell, 2003; Hancock, 2000; Kurdek, 1988). მონოგამია ბევრ ჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში ნორმატიულ მოლოდინს წარმოადგენს მაშინ, როდესაც გეი მამაკაცების წყვილებში ეს ყოველთვის ასე არ არის.

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდების ურთიერთობები მრავალფეროვანია. მათი ურთიერთობების სოციალურად ნებადართული მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები ურთიერთობების საკუთარ მოდელებსა და მხარდაჭერის სისტემებს ქმნიან. ფსიქოლოგებისთვის სასარგებლოა იმის ცოდნა, რომ ასეთი ურთიერთობები მრავალფეროვანია, და უმჯობესია, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალ წყვილებთან მუშაობისას თავი შეიკავონ ჰეტეროსექსისტური მოდელის გამოყენებისგან. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა, როდესაც საქმე ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი წყვილების სექსუალურ ცხოვრებას ეხება. ზოგადად ითვლება, რომ ჯანსაღი სექსუალური ექსპრესია მთლიანი ურთიერთობით კმაყოფილების შემადგენელი ელემენტია. ფსიქოლოგებისთვის, რომლებიც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალ წყვილებთან მუშაობენ, სასარგებლოა გამოიმუშაონ სენსიტიურობა და გათვინწობიერებულნი იყვნენ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალური წყვილების სექსუალურ პრაქტიკებთან და პრობლემებთან დაკავშირებით (მაგ. სექსის სიხშირე, სექსუალური დისფუნქციის სხვადასხვაგვარი ფორმები, სიახლოვესთან და სექსუალურ ლტოლვასთან დაკავშირებული პრობლემები). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, დაინახონ, თუ როგორ ართულებს ინტერნალიზებული ჰეტეროსექსიზმი ჯანსაღი სექსუალური ურთიერთობების განვითარებას. ფსიქოლოგებს აგრეთვე ეძლევათ რეკომენდაცია გამოავლინონ კონკრეტული გამოწვევები, რომლებსაც ჰეტეროსექსუალურ ქორწინებაში მყოფი ქალები და კაცები აწყდებიან ქამინგაუთისას და მათი ლგბ ორიენტაციის ცხოვრებაში ინტეგრაციისას. გარდა ამისა, ასეთი ინდივიდების მეუღლეებსა და ოჯახებს შესაძლებელია აგრეთვე დასჭირდეთ თერაპიული მხარდაჭერა.

სახელმძღვანელო პრინციპი 8. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ, თუ რა გამოცდილებები აქვთ და რა გამოწვევების წინაშე დგანან ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი მშობლები.

დასაბუთება. კვლევებმა აჩვენეს, რომ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალ მშობლებს ისეთივე უნარები აქვთ, როგორიც ჰეტეროსექსუალ მშობლებს (cf. Armesto, 2002; Erich, Leung, & Kindle, 2005; Herek, 2006; Patterson, 2000, 2004; Perrin, 2002; Tasker, 1999). სინამდვილეში, ფლაკსმა, ფიშერმა, მასტერპასტუამ და ჯოსეფმა (1995) აღმოაჩინეს, რომ ლესბოსელი წყვილებს ბავშვის აღზრდის უნარების შესახებ უფრო მაღალი ცნობიერება ჰქონდათ, ვიდრე ჰეტეროსექსუალ წყვილებს. ბოსის, ვან ბალენის და ვან დენ ბუმის (2005, 2007) თანახმად, ლესბოსელი არაბიოლოგიურ დედებს უფრო მაღალი ხარისხის მშობელი-ბავშვის ინტერაქცია ჰქონდათ, როგორც მშობლები უფრო პასუხისმგებლიანები და ქმედითები იყვნენ ბავშვის აღზრდის მხრივ, ვიდრე მამები ჰეტეროსექსუალურ ქორწინებებში. ასეთ აღმოჩენებზე საუბარი მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ დისკრიმინაციულ კონტექსტს, რომელშიც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალ მშობლებს უწევთ ცხოვრება (მაგ. სამართლებრივი დაბრკოლებები ბავშვის შვილად აყვანისას, ერთსქესიანი სტატუსით და მშობლის მეორადი სტატუსით ბავშვის აყვანისას, ბავშვებზე მეურვეობის დაკარგვის საფრთხე, იმავე სქესის პარტნიორთან ცხოვრების აკრძალვა, ერთ-ერთი მშობლისთვის სამართლებრივი უფლებების არქონა; ACLU Lesbian and Gay Rights Project, 2002; Appell, 2004; Patterson, Fulcher, & Wainwright, 2002). ჰეტეროსექსუალი ადამიანებისგან განსხვავებით, როდესაც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები ცდილობენ, რომ მშობლები გახდნენ, მათ ისეთი სირთულეების გადალახვა უწევთ, როგორიცაა ხელოვნურ განაყოფიერებასთან და სუროგაციასთან დაკავშირებული სტრესორები (Gifford, Hertz, & Daskow, 2010). ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი მშობლებისთვის სხვა უნიკალურ გამოწვევებს წარმოადგენს მხარდაჭერის

ნაკლებობა მშობლებისგან და მეგობრებისგან, ჰომოფობიური რეაქციები პედიატრებისგან, დღის ცენტრების მიმწოდებლებისგან, სკოლის პერსონალისგან. არაბიოლოგიური ლესბოსელი დედის ოჯახები, შესაძლოა ეწინააღმდეგებოდნენ არაბიოლოგიური ბავშვების ნამდვილ შვილიშვილებად, დისშვილებად/ძმისშვილებად, ან ბიძაშვილებად მიჩნევას (Ben-Ari & Livni, 2006)

უფრო და უფრო მეტი კვლევა კონცენტრირდება ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი მშობლების ბავშვებზე. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი მშობლების მიერ აღზრდილ ბავშვებთან დაკავშირებით განხილვის საგანს ძირითადად სამი საკითხი წარმოადგენს (პირველ ყოვლისა სამართლებრივი და სოციალური დაცვის სისტემების მხრიდან) (Patterson, 2005). მათ შორის (ა) ბავშვების გენდერული იდენტიფიკაცია, გენდერული როლური ქცევა, და სექსუალური ორიენტაცია; (ბ) ბავშვების პიროვნული განვითარება; და (გ) ასეთი ბავშვების სოციალური გამოცდილებები. პატერსონმა (2005) თითოეულ ჩამოთვლილ საკითხთან დაკავშირებით ჩაატარა ლიტერატურის ყოვლისმომცველი მიმოხილვა. ემპირიული მონაცემების მიმოხილვის მიხედვით (რომელიც პირველ ყოვლისა ლესბოსელი დედების შვილებს ეფუძნებოდა), მონაცემებმა არ აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავებები ლესბოსელი მშობლების მიერ აღზრდილ ბავშვებსა და ჰეტეროსექსუალი მშობლების მიერ აღზრდილ ბავშვებს შორის პიროვნული განვითარების კუთხით - თვითშეფასების, ლოკუსის კონტროლის, ინტელექტის, ქცევითი პრობლემების, პიროვნების, სკოლასთან შეგუების და ფსიქიატრიული ჯანმრთელობის მხრივ. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევები ლესბოსელი და გეი მშობლების ბავშვების დადებით შედეგებზე მეტყველებენ, ამერიკის პედიატრთა აკადემიამ 2002 წელს გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც მხარს უჭერს მშობლის მეორადი სტატუსით ბავშვის აყვანას ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ოჯახებისთვის (Perrin & the Committee on Psychosocial Aspects of Child and Family Health, 2002).

პრაქტიკული გამოყენება. APA „ფსიქოლოგებს რეკომენდაციას აძლევს, იმოქმედონ სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ბავშვის აყვანის, ბავშვის მეურვეობის და ნახვის, მინდობითი აღზრდის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების საკითხებში“ (Paige, 2005, გვ. 496). მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო, სამართლებრივ და სოციალური კეთილდღეობის სისტემებში მიკერძოებები და დეზინფორმაცია კვლავაც არსებობს, ფსიქოლოგებს აგრეთვე მოუწოდებენ თავიანთ საქმიანობაში მშობლებთან, ბავშვებთან, სათემო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან შესწორებები შეიტანონ დეზინფორმაციაში და უზრუნველყონ ინფორმაცია, რომელიც მეცნიერულ და პროფესიონალურ ცოდნაზეა დაფუძნებული. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ სირთულეები, რომელსაც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი მშობლები აწყდებიან, მათ აგრეთვე რეკომენდაცია ეძლევათ, გამოიკვლიონ აღნიშნული საკითხები კლიენტებთან ერთად. მაგალითად, ქორწინებაზე უარი ხელს უშლის მშობლებს, მიიღონ იგივე სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგები და სოციალური სტატუსი, რასაც ქორწინებაში მყოფი ჰეტეროსექსუალი წყვილები იღებენ (APA, 2008). ამავედროულად, ფსიქოლოგებს მოუწოდებენ დაინახონ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ოჯახების უნიკალური ძლიერი მხარეები და შედეგობა. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ გადასინჯონ იდენტობის სხვადასხვა წახნაგები (მაგ. რასა და ეთნიკურობა, კულტურა სოცო-ეკონომიკური კლასი, შეზღუდული უნარები, რელიგიური და სპირიტუალური ტრადიციები) რომელთა ურთიერთგადაკვეთებიც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი მშობლების გამოცდილებებს ქმნიან.

სახელმძღვანელო პრინციპი 9. ფსიქოლოგები აღიარებენ, რომ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების ოჯახები შეიძლება შედგებოდეს ადამიანებისგან, რომლებიც ერთმანეთთან სამართლებრივად, ან ბიოლოგიურად არ არიან დაკავშირებული.

დასაბუთება. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდების მნიშვნელოვანი რაოდენობისთვის სექსუალური ორიენტაციის გაუთქმელობას და/ან მათი ინტიმური ურთიერთობის აუღიარებლობას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს საკუთარი ოჯახებისგან

ემოციური დისტანცირება (Patterson, 2007). მაშინაც კი, როდესაც ოჯახები იღებენ მათ, ხშირად ეს მიმდებლობა უფრო ტოლერანტობაა და არა ნამდვილი მიმდებლობა (R. J. Green, 2004). მრავალი ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანისთვის ახლო მეგობრების წრე შესაძლებელია ოჯახური სტრუქტურის ალტერნატივას წარმოადგენდეს, რომელიც შესაძლოა სამართლებრივ და/ან ბიოლოგიურ ურთიერთობებზე არ იყოს დაფუძნებული. ასეთი არჩეული ოჯახები ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ინდივიდებს სოციალური კავშირებითა და ოჯახური გარემოთი უზრუნველყოფენ (R. J. Green, 2004) და შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ინდივიდის ბიოლოგიური ოჯახი (Kurdek, 1988). ასეთ ოჯახურ სტრუქტურებს შეუძლიათ შეამსუბუქონ დისკრიმინაცია, სამართლებრივი და ინსტიტუციური აღიარების არარსებობა (Weston, 1992).

პრაქტიკული გამოყენება. იქიდან გამომდინარე, რომ ურთიერთობით კმაყოფილებისთვის, სტიგმის მართვისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისთვის სოციალური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი კომპონენტია (Beals, 2004), ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ აღიარონ და ღირებულად მიიჩნიონ ღებ ოჯახური სტრუქტურები. ფსიქოლოგებს აგრეთვე მოუწოდებენ გაითვალისწინონ სტრესი, რომელსაც კლიენტები შეიძლება განიცდიდნენ, როდესაც მათი ბიოლოგიური ოჯახები, დამსაქმებლები და სხვები მათ ალტერნატიულ ოჯახურ სტრუქტურას არ აღიარებენ. ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან მუშაობისას, შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს კითხვის დასმა მეგობართა წრის, მეგობრებთან ურთიერთობების ხარისხის შესახებ და იმის თაობაზე, მიაჩნიათ თუ არა მეგობართა წრე „ოჯახად“. ამასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ადამიანის ჩართულობა ღებ თემში, რადგან თემთან კავშირმა შესაძლოა ინდივიდი უზრუნველყოს როლური მოდელებით, სოციალური მხარდაჭერით, სოლიდარობის განცდით და პოზიტიური იდენტობის განვითარებისთვის სხვა დამხმარე რესურსებით (I. H. Meyer, 2003; G. M. Russell, 2000).

სახელმძღვანელო პრინციპი 10. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ, თუ როგორ შეიძლება ღებ ორიენტაცია გავლენას ახდენდეს ადამიანის ბიოლოგიურ ოჯახზე და მის ურთიერთობაზე ამ ოჯახთან.

დასაბუთება. ოჯახებს შეიძლება სხვადასხვაგვარი რეაქცია ჰქონდეთ, როდესაც შეიტყობენ, რომ მათი რომელიმე წევრი ლესბოსელი, გეი, ან ბისექსუალია (Patterson, 2007; Savin-Williams, 2003). ზოგიერთი ოჯახი შეიძლება ოჯახური, ეთნიკური და კულტურული ნორმების, რელიგიური რწმენების, ან უარყოფითი სტერეოტიპების გამო მზად არ აღმოჩნდეს ლესბოსელი, გეი, ან ბისექსუალი ბავშვის ან ოჯახის წევრის მისაღებად (Buxton, 2005; Chan, 1995; Firestein, 2007; Greene, 2000; Matteson, 1996). ასეთი ოჯახებისთვის ამგვარმა სიახლემ შესაძლოა ოჯახური კრიზისი დააჩქაროს და ლესბოსელი, გეი ან ბისექსუალი ოჯახის წევრისგან ძლიერი დისტანცირება ან მისი უარყოფა გამოიწვიოს; ან განაპირობოს კონფლიქტები მშობლების ურთიერთობაში (Dickens & McKellen, 1996; Griffin, Wirth, & Wirth, 1996; Savin-Williams, 2003; Savin-Williams & Dube, 1998; Strommen, 1993). მეორე მხრივ, არსებობს ოჯახები, რომლებსაც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ოჯახის წევრების უპირობო მიმდებლობა აქვთ, კრიზისის გარეშე (Patterson, 2007; Savin-Williams, 2003). თუმცა, კვლევების მიხედვით, მხარდამჭერი ოჯახებიც კი შეიძლება გადიოდნენ შეგუების პერიოდს, მას შემდეგ, რაც მათი ღებ წევრის შესახებ შეიტყობენ (Jennings & Shapiro, 2003; Pallotta-Chiarolli, 2005). ბისექსუალი ადამიანები შესაძლოა უნიკალურ სირთულეებს განიცდიდნენ თავიანთ ოჯახებთან მიმართებაში. ადამიანები, ვინც თავს ბისექსუალად აიდენტიფიცირებს, თავისივე სქესის პარტნიორებთანაც შედიან რომანტიკულ ურთიერთობაში, რამაც შესაძლოა ოჯახის მხრიდან განაპირობოს ზეწოლა, რათა ბისექსუალმა ადამიანმა არჩევანი გააკეთოს საწინააღმდეგო გენდერის პარტნიორზე და ბისექსუალებს, რომელთაც საპირისპირო სქესთან აქვთ ურთიერთობა, ბიოლოგიურ ოჯახისა და გაფართოებული ოჯახის კონტექსტში შესაძლოა გაუჭირდეთ თავიანთი ბისექსუალური იდენტობის შენარჩუნება (Dworkin, 2001, 2002; Firestein, 2007).

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ოჯახის წევრებისთვის განსაკუთრებით რთული იქნება

ახალგაზრდა ზრდასრულის ცხოვრებისეული ტრანზიციების ახსნა (მაგ. კარიერის არჩევა, გადაწყვეტილების მიღება ბავშვის აღზრდაზე). შესაძლოა რთული აღმოჩნდეს ოჯახის წევრებისთვის იმის ახსნაც, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს სექსუალურმა ორიენტაციამ და სტიგმასთან დაკავშირებულმა გამოცდილებებმა სამსახურთან და კარიერასთან, სექსუალურ და რომანტიკულ ურთიერთობებთან, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე (Patterson, 2007). ბიოლოგიური ოჯახი, ისევე როგორც გაფართოებული ოჯახი შეიძლება იმავე სქესის პარტნიორისა და ერთსქესიანი მშობლების ბავშვების აღიარების წინააღმდეგ წავიდეს.

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ გამოიკვლიონ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების ნებისმიერი ჩივილი და პრობლემა, რომელიც მათ უშუალო ოჯახსა და გაფართოებულ ოჯახს უკავშირდება. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ კლიენტის მიერ საკუთარ ოჯახთან ქამინგაუთის კულტურულად სპეციფიკური რისკები. მაგალითად, რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ოჯახებს შესაძლოა საკუთარი თემის მხარდაჭერის დაკარგვის შიში ჰქონდეთ, თუ ღიად ისაუბრებენ ლესბოსელი, გეი, ან ბისექსუალი შვილის ყოლაზე. ფსიქოლოგებს შეუძლიათ კლიენტებს ხელი შეუწყონ ოჯახებთან საკუთარი იდენტობის, ისევე როგორც კულტურული სტიგმის შესახებ საუბრის გაიოლებაში. ოჯახებს შესაძლოა დასჭირდეთ მხარდაჭერა, რათა მათ ახლებურად გადაიაზრონ სექსუალური ორიენტაცია, დაუპირისპირდნენ ჰომოსექსუალობასთან და ბისექსუალობასთან ოჯახში დამკვიდრებულ ნეგატიურ საზოგადოებრივ ცრურწმენებს, და მხარი დაუჭირონ ოჯახის წევრებს საზოგადოებრივ სტიგმატიზაციასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვაში.

ოჯახური თერაპიის შედარებით ახალი მოდელები სირთულეების გადალახვის გარდა, ხელს უწყობს კონსტრუქციული სისტემური ცვლილების განხორციელებას (Fish & Harvey, 2005). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, დაეხმარონ ოჯახებს ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი წევრებისთვის გრძელვადიანი მხარდაჭერის ჩამოყალიბებაში და ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ოჯახის წევრის იდენტობასთან შეგუების პროცესის მიღმაც მიაღწეონ თვალი ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებს (Oswald, 2002). ფსიქოლოგებს მოუწოდებენ დაეხმარონ ლესბოსელ გეი და ბისექსუალ კლიენტებს ოჯახისთვის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზუსტად მიწოდებაში. და ბოლოს, ფსიქოლოგებისთვის მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ოჯახების რეაქციები და ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ წევრთან შეგუების გზები კულტურულად არაერთგვაროვანია. ხელმისაწვდომია ადგილობრივი და ეროვნული რესურსები, რომელთაც შეუძლიათ ოჯახის წევრების ინფორმაციით, დახმარებითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფა (Parents, Family, and Friends of Lesbians and Gays; Children of Lesbians and Gays Everywhere).

მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხები

მომდევნო სახელმძღვანელო პრინციპები ისეთ ცხოვრებისეულ გამოცდილებებს შეეხება, რომლებიც შეიძლება იყოს ურთიერთგადამფარავი და/ან სხვადასხვა ხარისხით მონაწილეობდეს ინდივიდის იდენტობის განცდაში და მის ურთიერთობაში სოციალურ და კულტურულ გარემოსთან. ინტერსექციურობის ცნება (2009) ადამიანის ცხოვრებაზე ისეთი კონსტრუქტების სიდიდის, სხვაობის და უნიკალური გავლენების დასახასიათებლად გამოიყენება, როგორიცაა რასა, ეთნიკურობა, კულტურა, გენდერი, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია, კლასი და შეზღუდული შესაძლებლობები. ინტერსექციურობა იდენტობის, განსხვავებულობის და არახელსაყრელობის კატეგორიებით განისაზღვრება. იმისთვის რომ დავინახოთ, თუ როგორ არიან აღნიშნული კატეგორიები ერთმანეთზე დამოკიდებულნი და ქმნიან ახალ შინაარსს, აუცილებელია გავითვალისწინოთ ინკლუზიის (ანუ კატეგორიებს შიგნით მრავალფეროვნების), უთანასწორობის (ანუ ძალაუფლებისა და პრივილეგიების ფარდობითი იერარქიული განაწილება), დამსგავსებების (ანუსიდრმისეულად განსხვავებული კატეგორიების საერთო მახასიათებლები; Cole, 2009) საკითხები. მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული თითოეული შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპი ასახავს მნიშვნელოვან კონსტრუქტს; თუმცა მკითხველს რეკომენდაცია ეძლევა, ისინი ინტერსექციურობის პრიზმაში დაინახოს.

სახელმძღვანელო პრინციპი 11. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ რასობრივი და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი წევრების გამოწვევები, რომლებიც რამდენიმე და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმებთან, ღირებულებებთან და რწმენებთან არის დაკავშირებული.

დასაბუთება. რასობრივი, ეთნიკური და კულტურული უმცირესობის წევრმა ლესბოსელმა, გეი და ბისექსუალმა ინდივიდებმა უნდა შეათანხმონ ჰომოსექსუალობასთან და ბისექსუალობასთან დაკავშირებული მეინსტრიმ და კულტურული უმცირესობების ნორმები, ღირებულებები და რწმენები (Chan, 1992, 1995; Greene, 1994b; Manalansan, 1996; Rust, 1996a). გარკვეული მტკიცებულებების მიხედვით, აღნიშნულ ნორმებს, ღირებულებებს, რწმენებსა და ატიტუდებს შორის კულტურული ვარიაციები შეიძლება ფსიქოლოგიური სტრესის მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს, რომელიც გავლენას ახდენს ლესბოსელების, გეი კაცებისა და ბისექსუალი ქალებისა და კაცების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (Díaz, Ayala, Bein, Henne, & Marin, 2001; Harper & Schneider, 2003; I. H. Meyer, 2003). თუმცა, ბოლო ხანებში, მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ განსხვავებული რასობრივი, ეთნიკური და კულტურული წარმოშობის ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების დაბალი მაჩვენებლები გვხვდება (მაგ., Cochran, Mays, Alegria, Ortega, & Takeuchi, 2007; Kertzner, Meyer, Frost, & Stirratt, 2009; I. H. Meyer, Dietrich, & Schwartz, 2008). შესაძლოა ეს განპირობებული იყოს იმით, რომ იდენტობის ერთ სტიგმატიზებულ ასპექტთან შეთანხმებისას დასწავლილი უნარები ინდივიდს იცავს და სტიგმატიზაციის სხვა ფორმებთან გამკლავებაში ეხმარება.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე იდენტობის ინტეგრაციამ შესაძლოა სირთულეები შეუქმნას განსხვავებული რასობრივი, ეთნიკური და კულტურული წარმომავლობის ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანებს. მაგალითად, ფერადკანიანი ლესბოსელი, გეი ან ბისექსუალი ადამიანი შესაძლოა „ლოიალობის კონფლიქტის“ წინაშე აღმოჩნდეს (Gock, 2001; Morales, 1989), როდესაც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი თემის მოლოდინები წინააღმდეგობაში მოდის რასობრივი, ეთნიკური და კულტურული ჯგუფის მოლოდინებთან, რომელთაც აგრეთვე ძლიერია მიკუთვნებულობის განცდა. ხსენებულმა ლოიალობის კონფლიქტებმა მრავალფეროვანი რასობრივი, ეთნიკური ან კულტურული წარმომავლობის ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანს შეიძლება შეუქმნას განცდა, რომ იგი ბოლომდე არც ერთ ჯგუფს არ განეკუთვნება (Greene, 2007). გრინის თანახმად, უმცირესობის სექსუალურ ორიენტაციასთან გამკლავების გარდა, ფერადკანიანი ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები თავისუფლად შეიძლება განიცდიდნენ რასიზმსა და დისკრიმინაციას ღებ თემს შიგნით.

კიდევ უფრო რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ ისეთი მრავალფეროვანი რასობრივი, ეთნიკური, ან კულტურული წარმომავლობის ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები, რომლებიც ისეთ ფაქტორებთან დაკავშირებით განიცდიან მარგინალიზაციას, როგორიცაა ასაკი, გეოგრაფიულ ადგილმდებარეობა, იმიგრანტის სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა, აკულტურაციის სტატუსი, სოციალური კლასი და შეზღუდული შესაძლებლობები (მაგ., Bieschke, Hardy, Fassinger, & Croteau, 2008; Rosario, Schrimshaw, & Hunter, 2004).

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს მოუწოდებენ დაინახონ, როგორ შეიძლება რამდენიმე უმცირესობის სტატუსმა სხვადასხვა გზით გააუარესოს და გაამწვავოს სირთულეები, რომლებსაც მათი კლიენტები განიცდიან. მაგალითად, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ მკურნალობაში კრიტიკულ ფაქტორებად განიხილონ გავლენა, რომელსაც კლიენტზე ახდენს ის, თუ როგორ ხედავს მათი მშობლიური კულტურა ჰომოსექსუალობასა და ბისექსუალობას და ახდენს მათ სტიგმატიზაციას (Gock, 2001; Greene, 1994c), და ის გავლენაც, რომელსაც ღებ მეინსტრიმ თემზე რასიზმი ახდენს (Gock, 2001; Greene, 1994a; Morales, 1996; Rust, 1996a). გარდა ამისა, იმისთვის, რომ კლიენტებმა ეფექტურად შეათანხმონ აღნიშნული საკითხები და ამ პოპულაციებთან ნაყოფიერად წარიმართოს მუშაობა (Chan, 1995; Garnets & Kimmel, 2003; Greene, 1994a; Rust, 1996a), სოციალური იდენტობებისა და სტატუსების სხვა გადამფარავ ფენებთან (მაგ. სოციალური კლასი, გენდერული როლები, რელიგიური რწმენები) დაკავშირებული კომპლექსური დინამიკის მიმართ მგრძნობელობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ და განსხვავებული რასობრივი, ეთნიკური და კულტურული წარმომავლობის კლიენტებსაც დაანახონ, მრავალჯერადი მარგინალიზაციის გამოცდილებების ნიადაგზე, რა ეფექტური გამკლავების სტრატეგიები და სხვა დამცავი ფაქტორები შეიძლება გამოემუშავებინათ მათ (Greene, 2003; Selvidge, Matthews, & Bridges, 2008). აგრეთვე ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, გაანალიზონ და დაეხმარონ ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებს რისხვაზე, ფრუსტრაციასა და ტკივილზე საუბარში, რომელიც ხშირად განუცდიათ როგორც განსხვავებული რასობრივი, ეთნიკური და კულტურული წარმომადგენლის ადამიანებსა და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს (Espin, 1993; Jones & Hill, 1996).

სახელმძღვანელო პრინციპი 12. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ განიხილონ გავლენები, რომელსაც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების ცხოვრებაზე რელიგია და სპირიტუალურობა ახდენს.

დასაბუთება. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების ცხოვრებაზე რელიგიისა და სპირიტუალურობის გავლენა შეიძლება იყოს კომპლექსური და დინამიკური და, შეიძლება, ამბივალენტურობის წყაროდ იქცეს. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ადამიანების გამოცდილებები, განსაკუთრებით ორგანიზებულ რელიგიასთან, ცვალებადი და მრავალფეროვანია. მართალია, განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციებთან მიმართებაში ზოგიერთი რელიგიური და სპირიტუალური რწმენათა სისტემა ნეიტრალურია (მაგ. ბუდიზმი და ინდუიზმი), მაგრამ ისტორიულად სხვების დამოკიდებულება უფრო დამგმობია (მაგ. ქრისტიანობა, იუდაიზმი და ისლამი). თეთრკანიანთა რელიგიურ ტრადიციებს შორისაც კი, რომლებიც, ისტორიულად, გაუმართლებლად მიიჩნევდნენ არაჰეტეროსექსუალურ ორიენტაციებს, ბოლო 20 და 30 წლის მანძილზე გაჩნდა მზარდი თეოლოგიური პარადიგმა, რომელიც იღებს და მხარს უჭერს მრავალფეროვან სექსუალურ ორიენტაციებს (Borg, 2004). ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდების რელიგიური წარმომავლობა შესაძლოა სხვადასხვაგვარად აისახოს მათ ფსიქოლოგიურ ფუნქციონირებასა და კარგად ყოფნაზე (Haldeman, 2004). რწმენასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი გამოცდილებების გარდა, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდები შეიძლება იმის მიხედვითაც განსხვავდებოდნენ, თუ რა როლს ასრულებს მოცემულ მომენტში რელიგია და სულიერება მათ ცხოვრებაში. მაგალითად, ზოგიერთისთვის საკუთარი რწმენის ტრადიციები და სპირიტუალური რწმენები მათი იდენტობის შემადგენელი ნაწილია, სხვებისთვის კი ასე არ არის (Maynard, 2001).

გარდა ამისა, ჰეტეროსექსუალებისგან განსხვავებით, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანებისთვის რწმენის გავლენა და შინაარსი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება განსხვავებული იყოს.

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ და პატივი სცენ მრავალფეროვან რელიგიურ და სპირიტუალურ პრაქტიკებს, რომლებშიც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები არიან ჩართულები. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ფსიქოლოგები განსაკუთრებით მოწყვლადები შეიძლება აღმოჩნდნენ ცნობიერი თუ არაცნობიერი რელიგიური მიკერძოებების მიმართ, რამაც უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს მათ საქმიანობაზე კლიენტებთან, რომლებსაც ძლიერი რელიგიური იდენტიფიკაცია აქვთ (Halderman, 2004). მათ ეძლევათ რეკომენდაცია დაინახონ რელიგიისა და სპირიტუალურობის როგორც ისტორიული, ასევე მიმდინარე როლი და მათი ზემოქმედება ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების ცხოვრებაზე (Halderman, 1996). უფრო კონკრეტულად, კარგი იქნება, თუ ისაუბრებენ მიუღებლობის და მტკიცუნელ რელიგიურ გამოცდილებებზე, რომლებიც შესაძლოა ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებს ჰქონოდათ. იდენტობის ამ ზოგჯერ არსებითად განსხვავებული, თუმცა მნიშვნელოვანი ასპექტების ინტეგრაცია ხშირად მკურნალობის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ფსიქოლოგებისთვის იმ ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან მუშაობისას, რომლებიც რელიგიური იდენტიფიკაციის ნიადაგზე საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოდიან (Benoit, 2005; Buchanan, Dzelme, Harris, & Hecker, 2001; Harris, Cook, & Kashubek-West, 2008).

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის „რელიგიურ, რელიგიაზე დაფუძნებულ და/ან რელიგიური წარმომადგენლის ცრურწმენებზე რეზოლუციამ“ (Anton, 2008) ფსიქოლოგებს მოუწოდა, გადასინჯონ საკუთარი რელიგიური რწმენები და აღნიშნული რწმენები არ დააყენონ პროფესიონალური პრაქტიკასა და სტანდარტებზე წინ ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებთან კლინიკური საქმიანობისას. კლიენტების უმრავლესობას, რომლებიც სექსუალური ორიენტაციის შეცვლის მცდელობებს მიმართავენ, აქვთ რელიგიური რწმენა, რომელიც მათ გამოცდილებაში შეუთავსებელია მათსავე სექსუალურ ორიენტაციასთან (APA, 2009b; Shidlo & Schroeder, 2002; Tozer & Hayes, 2004). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ ძალზე ყურადღებით შეისწავლონ ამგვარი მიმართვები - გაითვალისწინონ APA-ს „რეზოლუცია სექსუალური ორიენტაციით განპირობებულ დისტრესზე და შეცვლის მცდელობებზე აფირმაციული რეაგირების თაობაზე“ (APA, 2009b) და მხედველობაში მიიღონ მიმდინარე კვლევები და შესაძლო რისკები, რომელიც კლიენტებთან ორიენტაციის შეცვლის მცდელობებს შეიძლება ახლდეს თან. გარდა ამისა, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, გამოიკვლიონ სოციალური და კულტურული გავლენები, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს ასეთ მიმართვებზე. ფსიქოლოგებს აგრეთვე ეძლევათ რეკომენდაცია, კარგად გაეცნონ სარწმუნოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რესურსებს (რწმენასთან დაკავშირებული ლიტერატურას, ჯგუფებს და არა მხოლოდ), რომლებიც საზოგადოებაში არსებობს და რომლებიც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების მიმართ მხარდაჭერას და მიმღებლობას გამოხატავს.

სახელმძღვანელო პრინციპი 13. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ ასაკობრივი და თაობათაშორისი განსხვავებები ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ინდივიდებს შორის.

დასაბუთება. ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდები კოჰორტისა და ასაკის გავლენით შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. კოჰორტის გავლენები წარმოადგენენ ფართო ისტორიულ ძალებს, რომლებიც განვითარების კონტექსტს აყალიბებენ; დროის მონაკვეთს, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და/ან ქამინგაუთდება, შეუძლია ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანებისთვის დიდწილად განსაზღვროს განვითარების ისეთი ამოცანები, როგორიცაა იდენტობის იარლიყების მიწება, იდენტობის გამხელა, ბავშვის აღზრდა და პოლიტიკური მონაწილეობა (Fassinger & Arseneau, 2007). თაობათაშორისი განსხვავებებზე გავლენას ახდენს ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, სექსუალობის მიმართ ცვალებადი საზოგადოებრივი ატიტუდები;

აივ/მიდსის გავლენა სექსუალური უმცირესობების თემზე; ცვალებადი რელიგიური და სპირიტუალური ატიტუდები და პრაქტიკები; ქალების, გეი და სამოქალაქო უფლებების მოძრაობები; მიღწევები რეპროდუქციულ ტექნოლოგიებში და ოჯახთან დაკავშირებული იდეოლოგიური ცვლილებები; ცვლილებები სექსუალური და გენდერული იდენტობების, მათ შორის გენდერული იარაღების კონცეპტუალიზაციებში. კოჰორტის გავლენა და ასაკობრივი განსხვავებები სხვადასხვა რამაა. მაგალითად, ადამიანს, რომელიც 1950-იანებში დაქამინგაუთდა, სავარაუდოდ, სრულიად განსხვავებული გამოცდილება ექნებოდა, ვიდრე ვიღაცას, ვინც უკანასკნელ ათწლეულებში დაქამინგაუთდა. ანალოგიურად, 15 წლის და 45 წლის ადამიანების გამოცდილებები, რომლებიც დღეს ქამინგაუთდებიან, დიდი ალბათობით, ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება.

ასაკის მატებასთან დაკავშირებული ნორმატიული საკითხები და ცვლილებები, რომლებიც ყველა ხანში შესული ზრდასრულის ცხოვრებაში ხდება (მაგ. დაკავშირებული ჯანმრთელობასთან, პენსიაზე გასვლასთან, ფინანსებთან და სოციალური მხარდაჭერასთან; Berger, 1996; Kimmel, 1995; Slater, 1995), ხანში შესული ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდებისთვის ჰეტეროსექსისტური დისკრიმინაციიდან გამომდინარე შესაძლოა გაცილებით დიდ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. სამართლებრივი უზრუნველყოფის არარსებობამ შესაძლოა პრობლემები გამოიწვიოს სამედიცინო და ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას, საფრთხე შეუქმნას წყვილის ავტონომიას ჯანმრთელობასთან და ცხოვრების დასრულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, გაართულოს შესაბამის ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა, პრობლემები შექმნას მშობლის უფლებებთან, ჯანდაცვის და საპენსიო შეღავათების მიღებასთან, მემკვიდრეობასთან, საცხოვრებელ პირობებთან და საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით. კოჰორტისა და ასაკის გავლენები ერთმანეთთან ურთიერთქმედებს, რადგან როდესაც ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდებს უფრო ხშირი ინტერაქცია უწევთ სამედიცინო მიმწოდებლებთან (ასაკის გავლენა), ამას, დიდი ალბათობით, თან ახლავს იდენტობის დამალვა (კოჰორტის გავლენა); ასეთმა ურთიერთქმედებამ შესაძლოა ჯანმრთელობაზე ადევკატურ ზრუნვას შეუშალოს ხელი (Fassinger & Arseneau, 2007).

ხანში შესული ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდების დაბერების გამოცდილებაზე აგრეთვე ექნება გავლენა რამდენიმე უმცირესობის სტატუსს (მაგ. გენდერთან, სოციალურ კლასთან, შეზღუდულ შესაძლებლობებთან, რასასთან და ეთნიკურობასთან დაკავშირებული) (Kimmel, Rose, & David, 2006). მაგალითად, როგორც ჩანს, ხანში შესული ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ზრდასრულების მიერ სტიგმატიზაციის აღქმა ეთნიკურობისა და ასაკის მიხედვით განსხვავდება (David & Knight, 2008). კიდევ ერთი მაგალითის მიხედვით, ქალები, რომლებიც ერთსქესიან ურთიერთობებში იმყოფებიან, ცხოვრების მანძილზე შემცირებული შემოსავლების კუმულაციური ზემოქმედების შედეგად შესაძლოა გაზრდილ ფინანსურ სირთულეებს განიცდიდნენ (Fassinger, 2008). დაბოლოს, მრავალი ხანში შესული ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ზრდასრული განიცდის ეიჯიზმს ლგბ თემს შიგნით (Kimmel et al., 2006).

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ გაითვალისწინონ კონკრეტული კოჰორტის ისტორიული კონტექსტი, რომელსაც კლიენტი განეკუთვნება. ასაკთან დაკავშირებით ფსიქოლოგები ხედავენ, რომ ხანში შესული ზრდასრულები მრავალფეროვან ჯგუფს წარმოადგენენ და დაბერების თანმხლები ნორმატიული ცვლილებები შესაძლოა იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური და აუცილებელი არ არის, პათოლოგიასთან, ან კლიენტის სექსუალურ ორიენტაციას იყოს დაკავშირებული. რაც შეეხება კოჰორტის და ასაკის ურთიერთქმედებას, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ ყურადღება მიაქციონ, როგორ შეიძლება კონკრეტულ ასაკობრივ საკითხზე ზემოქმედებდეს კოჰორტასთან დაკავშირებული გამოცდილებები. მაგალითად, პარტნიორის სიკვდილთან დაკავშირებული გლოვა (ასაკობრივი ნორმატიული საკითხი) შესაძლოა გაამწვავოს ხანში შესულ თანატოლებს შორის გავრცელებულმა ჰეტეროსექსიზმმა (კოჰორტის გავლენა) და მგლოვიარე პარტნიორისთვის მხარდაჭერის არარსებობა განაპირობოს.

ფსიქოლოგები ხედავენ, რომ ფედერალური, სახელმწიფო და ადგილობრივი კანონები და რეგულაციები გავლენას ახდენენ ხანში შესული ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების უფლებებზე და ფლობენ ინფორმაციას შესაბამისი რესურსების თაობაზე, რომელიც შეიძლება კლიენტს სამედიცინო, სამართლებრივ და ფინანსურ საჭიროებებთან

დაკავშირებით დაეხმაროს. ფსიქოლოგებმა შესაძლოა მოიძიონ რესურსები, რომელიც ასაკოვან ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ხანში შესულ ზრდასრულებს პოზიტიურ ადაპტაციაში დაეხმარება (Friend, 1990; Lee, 1987). ფსიქოლოგებს შეუძლიათ ხანში შესულ ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ კლიენტებს დაბერებასთან დაკავშირებული გამოწვევებისთვის თავის გასართმევად ხელი შეუწყონ ჰეტეროსექსუალთან გამკლავების უკვე ნაცნობი სტრატეგიების გამოყენებაში (Fassinger, 1997; Kimmel et al., 2006).

სახელმძღვანელო პრინციპი 14. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდების წინაშე მდგარი უნიკალური რისკები და პრობლემები.

დასაბუთება. მოზარდობისას კოგნიტური, ემოციური და სოციალური განვითარების ცვლილებების გავლა და ამავდროულად ღებ იდენტობის ინტეგრირება შეიძლება ახალგაზრდობისთვის რთული აღმოჩნდეს (D’Augelli, 2006). ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და საკუთარ ორიენტაციაში დაეჭვებული ახალგაზრდები შესაძლოა ისეთი სიძნელეების რისკის წინაშე აღმოჩნდნენ, როგორცაა მათი ჰეტეროსექსუალი თანატოლები არ განიცდიან (cf. D’Augelli, 2002; Espelage et al., 2008; Lasser, Tharinger, & Cloth, 2006; Thomas & Larrabee, 2002), ასეთია უსახლკარობა (Urbina, 2007), პროსტიტუცია (Savin-Williams, 1994) და სექსუალურად გადამღები დაავადებები (Solario, Milburn, & Weiss, 2006). ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და საკუთარ ორიენტაციაში დაეჭვებული ახალგაზრდები, რომლებიც არ ემორჩილებიან გენდერულ ნორმებს, შეიძლება სირთულეებს განიცდიდნენ თანატოლებთან ურთიერთობებში (D’Augelli et al., 2002; Wilson & Wren, 2005). ქამინგაუთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები შესაძლოა კიდევ უფრო დიდ სირთულეებს უქმნიდეს ფერადკანიან ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ახალგაზრდებს, ვისთვისაც ოჯახი და თემი რასიზმთან გამკლავებისთვის სასიცოცხლო რესურსს შეიძლება წარმოადგენდეს (see Guideline 11). ლესბოსელი, გეი და ბისექსუალ ახალგაზრდებს ხშირად სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ სკოლაში (Cooper-Nicols, 2007), იქნება ეს გაუცხოება (Sullivan & Wodarski, 2002) თუ ბულინგი (E. J. Meyer, 2009). აღნიშნულმა ფაქტორებმა შესაძლებელია გაზარდონ ნივთიერებათა მოხმარების რისკი (Jordan, 2000), ან განაპირობონ ისეთი გრძელვადიანი შედეგი, როგორიცაა პოსტტრავმატული სტრესია (Rivers, 2004).

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი იდენტობებთან დაკავშირებულმა სტიგმამ შესაძლებელია ახალგაზრდები წახდის ქვეშ მოაქციოს და აიძულოს გაიმეორონ ჰეტეროსექსუალური გაცნობა-შეხვედრების პატერნები იმისთვის, რომ დამალონ თავიანთი სექსუალური ორიენტაცია, ან თავიდან აირიდონ სოციალური ინტერაქცია (Safren & Pantalone, 2006). საკუთარი სექსუალური იდენტობის შენიღბვის ან უარყოფის მცდელობებმა შესაძლებელია არასასურველი ორსულობის (Saewyc, 2006), საფრთხის შემცველი სექსუალური ქცევის (Rosario, Schrimshaw, & Hunter, 2006), ინტერპერსონალური ძალადობის (S. T. Russell, Franz, & Driscoll, 2001) და სუიციდის მცდელობების (Savin-Williams, 2001) მაღალი რისკის ქვეშ დააყენოს ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი თინეიჯერები.

ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდები თავიანთ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით ხშირად მშობლების მხრიდან უარყოფით რეაქციებს აწყდებიან (Heatherington & Lavner, 2008). ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდებისთვის მხარდამჭერი ოჯახები შესაძლებელია დამცავ ფაქტორს წარმოადგენდეს, რაც ახალგაზრდებს უმცირესობის სტრესის უარყოფითი გავლენებისგან დაიცავს (I. H. Meyer, 2003; Ryan, 2009). თუმცა, რამდენადაც საუკეთესო ინტერესებით არ უნდა მოქმედებდნენ ჰეტეროსექსუალი მშობლები, შესაძლოა მათ ვერ უზრუნველყონ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდები საკმარისი გაგებითა და სოციალიზაციით, რომელიც მათ როგორც ჰეტეროსექსუალისგან, ისე ჰეტეროსექსისტური რწმენების ინტერნალიზებისგან დაიცავს (R. J. Green, 2004). ამრიგად, მხარდამჭერი მეგობრების ქსელთან ახლო ურთიერთობები უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან მას შეუძლია შეასრულოს მუხრუჭის როლი ოჯახური უარყოფის და/ან საზოგადოებრივი ჰეტეროსექსიზმის წინააღმდეგ. ძლიერი სამეგობრო ქსელი განიხილება უმთავრეს ფაქტორად

სექსუალური ორიენტაციის გამოკვლევისა და განვითარებისთვის (D'Augelli, 1991).

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, განიხილონ მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების და მედიის მხრიდან სექსუალური უმცირესობების გაშუქების ფსიქოლოგიური გავლენა ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ახალგაზრდებზე. ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ახალგაზრდებთან მუშაობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ცოდნა, რადგან კონფიდენციალობასთან, სამედიცინო სტატუსის გამხელასთან და ნებაყოფლობითი სექსის ასაკთან დაკავშირებული კანონები შტატიდან შტატამდე იცვლება.

ახალგაზრდები შესაძლებელია გაურბოდნენ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული იდენტობების მიწებებს. გარდა ამისა, მოზარდობისას სექსუალური იდენტობა შესაძლოა განიცდებოდეს როგორც ფლუიდური (Diamond, 2007; Rosario, Schrimshaw, Hunter, & Braun, 2006). ამგვარად ფსიქოლოგები ცდილობენ შექმნან ღია და აფირმაციული თერაპიული კონტექსტი სექსუალობაზე საუბრისთვის და იმის გამოსაკვლევად, თუ რა მნიშვნელობას დებენ ახალგაზრდები თვით-იდენტიფიკაციის ტერმინებში. ფსიქოლოგები აგრეთვე ცდილობენ საჭიროებისამებრ დახმარება გაუწიონ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და საკუთარ ორიენტაციაში დაექვებულ ახალგაზრდებს და მათ ოჯახებს განათლების, მხარდაჭერის შესაძლებლობების, აფირმაციული ინტერნეტ გვერდების ალტერნატიული რესურსების დადგენაში.

კვლევები აჩვენებს, რომ სკოლებში ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ახალგაზრდები სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე ინტენსიურ შევიწროებას განიცდიან (E. J. Meyer, 2009). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, იმუშაონ მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრატორებთან, რათა მათ დაინახონ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ამგვარმა შევიწროებამ გრძელვადიან პერსპექტივაში; კერძოდ, ეს შეიძლება იყოს სკოლიდან გარიცხვა, დაბალი აკადემიური მოსწრება და სუიციდური ქცევა. ფსიქოლოგებს შეუძლიათ შეასრულონ რესურსების ფუნქცია და დაეხმარონ სკოლის პერსონალს სკოლებში სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე შევიწროების შემცირებაში.

რაიანის (2009) თანახმად, მშობლების მხრიდან მცირედი მიმღებლობაც კი ლესბოსელ, გეი და ბისექსუალ ახალგაზრდებში ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კარგად ყოფნასთან ასოცირდება. აღნიშნული კვლევის მიხედვით, ოჯახური უარყოფის დაბალი დონე მოზარდობისას და აღრეულ ზრდასრულობაში კავშირშია დეპრესიის დაბალ მაჩვენებელთან, ნივთიერებათა შემცირებულ მოხმარებასთან, შემცირებულ მაღალი რისკის სექსუალურ ქცევასთან და შემცირებულ სუიციდის რისკთან. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და საკუთარ ორიენტაციაში დაექვებული ახალგაზრდების მშობლებთან მუშაობისას, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ შეაფასონ მათი შვილის სექსუალური ორიენტაციის მიმღებლობის ან უარყოფის ხარისხი. ინტერვენციები შესაძლებელია მოიცავდეს სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ფსიქოგანათლების სტრატეგიების და ოჯახის ძლიერი მხარეების გამოყენებას, რათა გაზარდონ მხარდაჭერა ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და საკუთარ ორიენტაციაში დაექვებული ახალგაზრდებისთვის (Ryan, 2009).

სახელმძღვანელო პრინციპი 15. ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, დაინახონ განსაკუთრებული სირთულეები, რომელსაც ფიზიკური, სენსორული და კოგნიტურ-ემოციური შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდები განიცდიან.

დასაბუთება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდები შესაძლოა აწყდებოდნენ განსაკუთრებული გამოწვევების ფართო სპექტრს, რომელიც კავშირშია როგორც შეზღუდულ შესაძლებლობებთან, ისე სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულ სოციალურ სტიგმასთან (Saad, 1997). მათ აგრეთვე შეიძლება ჰქონდეთ უხილავობის განცდა, რაც სექსუალური ორიენტაციის და შეზღუდული ფიზიკური, კოგნიტურ/ემოციური და/ან სენსორული შესაძლებლობების ინტერსექციასთან არის დაკავშირებული (Abbott & Burns, 2007; Lofgren-Martenson, 2009), ვინაიდან საზოგადოებაში

გავრცელებულია შეხედულება, რომ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს არ აქვთ სექსუალობა და ისინი მარტოხელები არიან. გარდა ამისა, როგორც მაპირო (1993) მიუთითებს, ინდივიდის მე-კონცეფციაზე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს აღნიშნულმა გამოწვევებმა, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს უშლიან ადამიანის ავტონომიურობის განცდას, პირად აგენტობას, სექსუალობასა და თავდაჯერებულობას.

შეზღუდული ფიზიკური, სენსორული და კოგნიტურ-ემოციური შესაძლებლობების ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდები არაერთი განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დგანან. მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ შეზღუდული ინტელექტუალური და დასწავლის უნარების მქონე გეი კაცები დაუცველი სექსუალური კავშირის დამყარების მნიშვნელოვნად გაზრდილი რისკის ქვეშ იმყოფებიან (Yacoub & Hall, 2009). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გეი კაცებში „ნაკლებ მასკულიზურობის“ განცდა აგრეთვე მონაწილეობს მაღალი რისკის შემცველ სექსუალურ ქცევაში (O'Neill & Hird, 2001). პარტნიორებთან ურთიერთობებში, ცხოვრების მართვასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საკითხების მოგვარება, მათ შორის მობილობა, სექსუალობა, სამედიცინო და იურიდიული გადაწყვეტილებების მიღება, შეიძლება განსაკუთრებით რთული აღმოჩნდეს. გარდა ამისა, სექსუალურ ორიენტაციაზე უარყოფითი რეაქციიდან გამომდინარე შესაძლებელია ოჯახის მხარდაჭერა ხელმისაწვდომი არ იყოს (McDaniel, 1995; Rolland, 1994). შეზღუდული შესაძლებლობების ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ინფორმაციაზე, მხარდაჭერაზე და სერვისებზე ისეთივე წვდომა, როგორიც შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე ადამიანებს აქვთ (O'Toole, 2003; O'Toole & Bregante, 1992). ამასთან, ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანი შეიძლება განიცდიდეს დამატებით სტრესს, რადგან იმისთვის რომ შესაბამისი სერვისები მიიღოს, იძულებულია მომვლელებთან და სამედიცინო მუშაკებთან დაქამინგაუთდეს (O'Toole & Bregante, 1992).

პრაქტიკული გამოყენება. ფსიქოლოგებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდებთან მუშაობენ, რეკომენდაცია ეძლევათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შეზღუდულ შესაძლებლობებთან, რასასთან, ეთნიკურობასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერთან, ასაკთან, ჯანმრთელობის სტატუსთან და სოცო-ეკონომიკურ სტატუსთან დაკავშირებული საკითხების კოვარიაციას (Fraley, Mona, & Theodore, 2007; Hunt, Matthews, Milsom, & Lammel, 2006). იდენტობის სტიგმატიზებული ასპექტების დამატებითი პოტენციური გავლენები შესაძლოა მნიშვნელოვან ურთიერთობებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა გააძალოს (მაგ. პარტნიორებთან, ოჯახის წევრებთან, მომვლელებთან, სამედიცინო მიმწოდებლებთან) და შესაბამისად საჭიროებს საგულდაგულო შეფასებას. ამასთან, ფსიქოლოგებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდებთან მუშაობენ, რეკომენდაცია ეძლევათ ღებ თემის და უფრო დიდ სოციალურ კონტექსტში განიხილონ სოციალური ბარიერების პოტენციური გავლენები (Shapiro, 1993).

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჯგუფში ბევრს შეზღუდული აქვს უფლებები და აქვს განცდა, რომ შეუმჩნევლები რჩებიან, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, განიხილონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების გაძლიერების გზები (Shuttleworth, 2007). ხელმისაწვდომობისთვის რეკომენდებულია მხარდაჭერის ჯგუფებთან დაკავშირება და ფსიქოთერაპიის დამატებაც (Williams, 2007). შეზღუდული შესაძლებლობების და სექსუალური ორიენტაციის ინტერსექციისთვის შემუშავებულ იქნა კომპლექსური თერაპიული მიდგომები (cf. Hanjorgiris, Rath, & O'Neill, 2004; Hunt et al., 2006). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, გამოიკითხონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი კლიენტების სექსუალური ისტორიისა და მიმდინარე სექსუალური ფუნქციონირების შესახებ და თვითონაც მიაწოდონ ინფორმაცია კლიენტებს და ამ ხშირად შეუმჩნეველ სფეროში ამოცანების გადაჭრას შეუწყონ ხელი (cf. Hanjorgiris, Rath, & O'Neill, 2004; Hunt et al., 2006). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მრავალი ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანი გამოუცდია იძულებითი სექსუალური კავშირი (Swartz, 1995; Thompson, 1994). რეკომენდებულია ინდივიდის ვიქტიმიზაციის ისტორიის დელიკატური გამოკვლევა.

სახელმძღვანელო პრინციპი 16. ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ, როგორ გავლენას ახდენს აივ/შიდსი ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ინდივიდებისა და თემის ცხოვრებაზე.

დასაბუთება. იქიდან გამომდინარე, რომ აივ/შიდსი და სექსუალური ორიენტაცია ერთმანეთთან გაწყვილებულია, ამ დაავადების მქონე ადამიანები სტიგმატიზირებულები არიან (Herek, Capitanio, & Widaman, 2002). ცრურწმენებსა და დისკრიმინაციას, რომელსაც აივ/შიდსით მცხოვრები ადამიანები განიცდიან, ისეთი დამატებითი ფაქტორები უწყობს ხელს, როგორიცაა ვირუსის არასწორი გაგება, ან ვირუსთან დაკავშირებული არასწორი ინფორმაცია (Ritieni, Moskowitz, & Tholand, 2008), ზოგადი ჰომოფობია და რასიზმი (Brooks, Etzel, Hinojos, Henry, & Perez, 2005) და ფაქტი, რომ ვირუსი ისეთი ქცევის მეშვეობით ვრცელდება, რომელსაც ზოგიერთი ინდივიდი და ჯგუფი უზნებოდ რაცხავს (Kopelman, 2002). მიუხედავად იმისა, რომ შიდსის დიაგნოზი თავდაპირველად სასიკვდილო განაჩენს წარმოადგენდა, აივ/შიდსის მკურნალობაში მნიშვნელოვანმა სამედიცინო მიღწევებმა მისი ქრონიკულ დაავადებად გადააზრება განაპირობა (Pierret, 2007).

სტიგმატიზებულ დაავადებასთან გამკლავების გარდა, აივ/შიდსით მცხოვრები ადამიანები ვირუსისთვის და მისი მკურნალობისთვის დამახასიათებელ უამრავ სამედიცინო პრობლემას და მედიკამენტების გვერდით მოვლენას განიცდიან (Johnson & Neillands, 2007). მეგობრებისთვის, ოჯახის წევრებისთვის და სექსუალური და რომანტიკული პარტნორებისთვის აივ პოზიტიური სტატუსის გამხელის შემდგომ აივ/შიდსის მქონე მრავალი ადამიანი უარყოფის საფრთხის წინაშე დგება (Simoni & Pantalone, 2005). გარდა ამისა, აივ/შიდსით მცხოვრები ადამიანების მენტალურ ჯანმრთელობაზე ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევებმა გუნება-განწყობის და შფოთვის ამოცანების მაღალი მაჩვენებლები (Bing et al., 2001) და აგრეთვე ნარკოტიკულ ნივთიერებათა და ალკოჰოლის გამოყენებასთან და ბოროტად მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოავლინა (Pence, Miller, Whetten, Eron, & Gaynes, 2006). აივ ნეგატიურ თანატოლებთან შედარებით, ამ დაავადებით მცხოვრები ადამიანები ინტერპერსონალური ძალადობის გაზრდილი მაჩვენებლის შესახებ იტყობინებიან (Cohen et al., 2000; Greenwood et al., 2002). ხანში შესულები აივ/შიდსთან დაკავშირებული განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგანან. მაგალითად, ხანში შესული ადამიანები, რომლებიც აივ/შიდსს ებრძვიან, შესაძლოა მკურნალობის რეჟიმებთან დაკავშირებულ კოგნიტურ და ფიზიკურ ცვლილებებს განიცდიდნენ (მაგ., Oelklaus, Williams, & Clay, 2007). შეუკავებელი სექსუალური ქცევის ფონზე, რომელიც დაქვეითებულ კოგნიტურ ფუნქციასთან, მართობასთან, დეპრესიასთან, ან სხვა ემოციურ თუ ეგზისტენციურ ფაქტორებთანარის დაკავშირებული, ზოგიერთი აივ ნეგატიური ხანში შესული, დაცულისეკის შესახებ ინფორმაციის ფლობის მიუხედავად, სეროკონვერსიის რისკის წინაშე შესაძლოა აღმოჩნდეს (cf. Grov, Golub, Parsons, Brennan, & Karpiak, 2010). ამ კომპლექსური ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებთან გამკლავება შეიძლება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდეს როგორც აივ დიაგნოზით მცხოვრები ინდივიდებისთვის, ისე იმ ფსიქოლოგებისთვის, ვინც მათ აწვდის მომსახურებას (J. R. Anderson & Barret, 2001; Berg, Michelson, & Safren, 2007). ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აივ/შიდსის პრობლემები სხვა ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობების კონტექსტში აღმოცენდება (Krehely, 2009).

პრაქტიკული გამოყენება. პირველადი შეფასების ჩატარების დროს, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ თავი შეიკავონ სექსუალური ორიენტაციიდან ან სხვა დემოგრაფიული მახასიათებლიდან გამომდინარე კლიენტის აივ სეროსტატუსთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანისგან. კლიენტის აივ სეროსტატუსის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ერთადერთ სანდო გზა სეროსტატუსის შესახებ კითხვის დასმაა. გარდა ამისა, ამ საკითხზე საუბრის დიად დაწყებით, ფსიქოლოგები შესაძლებლობას ქმნიან, რომ აივის შესახებ ზუსტი პრევენციული საგანმანათლებლო ინფორმაცია მიაწოდონ ყველა კლიენტს (მაგ. უსაფრთხო/სარიისკო სექსუალური ქცევის შესახებ), ხოლო მხარდაჭერით უზრუნველყონ ისინი, ვინც აივ პოზიტიურია (მაგ. წახალისონ, რომ მიმართონ და განაგრძონ სამედიცინო მკურნალობა). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, მოიპოვონ შესაბამისი ინფორმაცია, რათა კლიენტებთან აივ პრევენციის სტრატეგიებზე იმსჯელონ.

ფსიქოლოგები ცდილობენ დაინახონ და გაითვალისწინონ გავლენა, რომელიც მრავალი უნიკალური ოპრესირებული იდენტობებით და სხვა ფაქტორებით (მაგ. სექსუალური უმცირესობა, რასობრივი/ეთნიკური უმცირესობა, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, შეზღუდული შესაძლებლობები) განპირობებულ საზოგადოებრივ მარგინალიზაციას აქვს თითოეულ აივ/შიდსით მცხოვრებ კლიენტზე. დადგინდა, რომ ახალგაზრდა ფერადკანიან გეი კაცებში, დაბალ თვითშეფასებას და სხვა ფაქტორებს (მაგ. სოციალური ქსელები) წვლილი შეაქვს სეროკონვერსიის მაღალ მაჩვენებელში (Brooks, Rotheram-Borus, Bing, Ayala, & Henry, 2003; Millett, Flores, Peterson, & Bakeman, 2007). ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, მაღალი რისკის კლიენტებთან უსაფრთხო სექსუალურ ქცევაზე ისაუბრონ. გარდა ამისა, ფსიქოლოგებს რეკომენდაცია ეძლევათ, კარგად გააცნობიერონ, რამდენად განსხვავებული გამოცდილებები შეიძლება ჰქონოდათ განსხვავებულ ასაკობრივ კოჰორტებს აივ/შიდსთან დაკავშირებით. მაგალითად, შესაძლებელია, მრავალ ხანში შესულ ლესბოსელ, გეი კაცსა და ბისექსუალ ქალებსა და კაცებს 1980-იან და 1990-იან წლებში მათი მეგობრების და პარტნიორების შიდსით გარდაცვალებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ემოციური ტრავმა, გლოვა და დანაკარგი გამოეცადათ და აღნიშნული დანაკარგების ფონზე შესაძლოა კვლავაც საჭიროებდნენ მხარდაჭერას.

